ხუთშაბათი 1919 წ. მაისის 1 № 93
წელიწადი მეხუთე

ხუთშაბათი 1919 წ. მაისის 1 № 93
ფასი 1 მან. და 50 კ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო

რედაქცია

ხელნაწერი საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო"

კონტორა

„საქართველოზე" ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ეღირება—90 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 30 მანეთი. ცალკე № 1 მ. 50 კ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მ. 50 კ. უკანასკნელზე—1 მ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. ხამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 30 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 5 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 საათიდან 3 საათამდე.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15—73

ხანგრძლივსა და მძიმე ავათმყოფობის შემდეგ, ქ. კისლოვოდსკში გარდაიცვალა ცნობილი მოღვაწე და მოსწავლე ახალგაზრდობის მომაგე თანამემამულე ჩვენი

გენერალი ივანე ალექსანდრეს ძე

ნაკაშიძე

რასაც განსვენებულის პატივისმცემელნი აუწყებენ ქართველ საზოგადოებასა და ნაცნობთა, პარასკევს 2 მაისს, საღამოს 6 საათზე, ქვაშვეთის ეკლესიაში გადახდილ იქნება პანაშვიდი.

(1—55—1)

უცაბედათ და უდროვოდ, 29 აპრილს, 1619 წელს, გარდაიცვალა

ნიკო (კოლა) ლუკას ძე

შოშინი

რასაც აუწყებენ მწუხარებით სავსე: მეუღლე სოფიო შვილებით: თამარ, შალიკო და ჟორჟიკათი, სიდედრი და სიმამრი: ანნა და დავით ქობულაშვილები. გამოსვენება პარასკევს, 2 მაისს დილის 10 საათზე, სომხეთა შესახვევი № 10. ნიკოლოზის ეკლესიაში (ვარანცოვის ძეგლის მახლობლად) დაკრძალვა წმინდა ნინოს სასაფლაოზე, პანაშვიდი საღამოს 6 საათზე ყოველ დღე.

1—56—1

ახალციხესთან, თათრებთან ბრძოლაში, მოკლული მე-6-ე ქვეითი რაზმის კაპიტანის,

ვლადიმერ ილიას ძე ტატიშვილის

ჭირისუფალნი, აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ დასაფლავებიდან ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქნება ამა წლის სამ მაისს, ქ. თელავში, განსვენებულის საფლავზე.

(1—2343—1)

ამიერ-კავკასიის კოოპერატიულ ყრილობათა საბჭო

ამით აუწყებს ამიერ-კავკასიის და საქართველოს ყველა კოოპერატივებს (როგორც მომხმარებელთა, აგრეთვე საკრედიტო და სხვა კოოპერატივებს, რომ

28 მაისს, ქ. თბილისში შესდგება კოოპერატიული ყრილობა

საქართველოს კოოპერატივებისა

და 25 მაისს, ქ. თბილისშივე შესგება

ამიერ-კავკასიის

(საქართველოს, აღერბეიჯანის და სომხეთის) კოოპერატიული ყრილობა. ყრილობის შესახებ ცნობების მიღება შეიძლება თბილისში, (მიხეილის პრ.) № 178 ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირში.

ამიერ-კავკასიის კოოპერატივების ყრილობათა საბჭო.

3—53—2

თბილისის ქართველ ვაჭარ-მრეწველთა

კავშირის საბჭო

აცხადებს, რომ საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატის წევრებად და კანდიდატებად არჩეულ იქმნენ: წევრებად: 1. ამირაჯიბი კონსტანტინე, 2. ალბაშოვი დავით, 3. ბერელაშვილი ადამ, 4. ბერელაშვილი ვასილ, 5. ბენდუქიძე სპირიდონ, 6. გაბაშვილი ნიკოლოზ, 7. გველესიანი იოსებ, 8. გოთუა პართენ, 9. დათეშიძე რაჟდენ, 10. ზურაბიშვილი ვასილ. 11. კვეზერელი-კოპაძე ივანე, 12. კურდღელაშვილი რომან, 13. კორაშვილი კოტე, 14. კილასონია ნიკოლოზ, 15. ლისინოვი ნიკოლოზ, 16. ლორთქიფანიძე იასონ, 17. ლალიძე მიტროფანე, 18. სარქისოვი კონსტანტინე, 19. სულუხია მოსე, 20. ტყავაძე კოტე, 21. უნურგუნაშვილი რაჟდენ, 22. ფორაქაშვილი სვიმონ, 23. ქავთარაძე ანდრია, 24. ქიტიაშვილი ზაქარია, 25. ყუფარაძე ბარნაბა, 26. ხოშტარია აკაკი, 27. ჯაბადარი ალექსანდრე, 28. ჯაყელი ნიკოლოზ, 29. ჯალიაშვილი რაჟდენ. კანდიდატებად: 1. ბასილაძე ტროფიმე, 2. გაჩეჩილაძე მელიტონ, 3. გორელაშვილი რაფაელი, 4. ეგნატიშვილი ალექსანდრე, 5. ესაიანცი ტიგრანი, 6. მთავრიშვილი თომა, 7. სარაჯიშვილი ი. პ., 8. სიხარულიძე ნოე, 9. ძეგველოვი ალექსანდრე, 10. ჯანელიძე გეორგი.

პირველი ყრილობა პალატის წევრთა.

დანიშნულია 1919 წ. 4 მაისს, დილის 11 საათზე ქართ. ვაჭარ-მრეწ. კავშირის ბინაზე, ფრეილინის ქუჩა № 11. განსახილველი საგნები: 1: მოხსენებანი; 2. ხარჯთ აღრიცვა; 3. არჩევა პალატის კომიტეტის და სარევიზიო კომისიის წევრთა და კანდიდატთა. თანახმად პალატის წესდების მე-37 §-სა „საზოგადო კრება კანონიერია თუ მას დაესწრო პალატის წევრთა არა ნაკლებ ორი მესამედისა, თუ კრებას ორი მესამედი არ დაესწრო, მეორე კრება ინიშნება ოცდაოთხი საათის შემდეგ და იგი ითვლება კანონიერათ რამდენი წევრიც უნდა დაესწროს მას".

(2—52—2).

„აღმოსავლეთის კუთხე"

(УГОЛОКЪ ВОСТОКА)

რუსთაველის (გოლოვინის) პროსპექტი № 8.

ვისაც გსურთ გემრიელი და სურნელოვანი საჭმელები, სუფთად და იაფად, ევროპიული და აზიური, თუ გსურთ დაისვენოთ სულით და გულით, გთხოვთ მობრძანდეთ რუსთაველის (გოლოვ.) პროსპ. № 8 „აღმოსავლეთის კუთხე"-ში.

1—2342—1

ახლად მოწყობილი სტამბა „ხელოვნება"

ველიამინოვის ქუჩა № 20.

იღებს ყოველ-გვარ სასტამბო და საკაზმავ საქმეებს და გამოცდილ მუშათა ინიციატორობითასრულებს სწრაფად და ხელოვნურად მეტათ დაკლებულ ფასებში.

საყურადღებოდ სოფლების წვრილ საკრედიტო ამხანაგობებს

სტამბა „ხელოვნებას" აქვს დამზადებული ყოველნაირი ბლანკები წევრ. საკრ. ამხანაგობებისთვის: წლიური ანგარიშები, თვიური ანგარიშები, ხელწერილები და სხვა.

(25—51—3)

საჭიროა სამი ან ორი სუფთად გაწყობილი

ოთახი

სრული პანსიონით რუსთველის (გოლოვინის პროსპ. რაიონში).

ნიკ. გრიგოლის ძე მასხარაშვილისთვის მისამართი გოლოვინის პროსპ. ლაღიძის კაფე ბ. მღვდელაძესთან.

2—2339—2

კვირას, 4 მაისს, დილის თერთმეტ საათზე სახაიე „ძმურ ნუგეშში" დანიშნულია თბილისის

ქართველ ქალთა

საზოგადოების კრება

საგანი კრებისა: 1. განხილვა და დამტკიცება წარსულ წელთა ანგარიშებისა; 2. სარევიზიო კომისიის მოხსენება; 3. არჩევნები გამგეობისა და სარევიზიო კომისიისა.

2—1

სახელმწიფო თეატრი

საოპერო დასი ს. ი. ევლახიშვილისა

დღეს, 1 მაისს, ინტერნაციონალურ დღისთვის წარმოდგენილი იქნება

სევილიელი დალაქი

3 მაისს „თაისი", 4 მაისს დილით „ჯამბაზები" საღამოთი „აფრიკანკა".

პირველი მაისი

პირველი მაისი მთელი ქვეყნის მუშათა კლასის გამაერთიანებელ სადღესასწაულო უქმედ გადაიქცა. თქმა არ უნდა, რომ წელს რევოლუციური დემოკრატია გამარჯვების მეტის იერით და მედიდურობით სახეს აიბრწყინვალებს;—ამის ობიექტიურ საბუთად მოყვანილი იქნება სოციალიზმისა და რევოლუციის ალმსარებელთა ფაქტიური ბატონობა, რუსეთ-გერმანია ავსტრია-უნგრეთის ტერიტორიაზედ; ამის საბუთადვე ნაგულისხმევი იქნება საერთო რევოლუციური სულიერი განწყობილება მუშათა კლასისა ევროპა-ამერიკის სხვა ქვეყნებშიაც. რუსეთი და დასავლეთი ევროპის აჯანყებული ქვეყნები წელს ამ ინტერნაციონალურ დღესასწაულის მთავარი გმირები არიან.

თუ დღემდე პირველი მაისები მხოლოდ გამოცხადება იყო მუშათა გაბატონების იდეალისა და სოციალისტური მიღწევისა, ამ წლის პირველ მაისს ხელთ უპყრია მუშათა ბატონობისა და მათი იდეოლოგიის მეუფების ზოგან ორი წლის და ზოგან ნაკლების—უტყუარი ძეგლები. და ეს ფაქტი მუშათა შეუდავებელი ბატონობისა წლევანდელ პირველ მაისის დღესასწაულს უფრო მუშური მეთოდისა და მუშათა იდეოლოგიის კრიტიკული გადასინჯვის შინაარსი უნდა აძლევდეს, ვიდრე ატრუებული სიმთვრალისას მუშათა დიქტატურის ვითომდა მაღალსამართლიანობით! ეს აბობოქრებული ზღვა და რევოლუციური ქარტეხილი, ეს დაუსრულებელი სამოქალაქო ომი და სისხლის ღვრა თავისთავად არც სამართლიანობის მაჩვენებელია და არც გამარჯვების.

წლევანდელ პირველ მაისს საერთაშორისო მუშათა ფრონტი გაბზარული შეხვდება, როგორც ეროვნული ელემენტის ზედგავლენით, აგრეთვე წმინდა სოციალურ მომენტისა და სოციალურ აღმშენებლობის შეფასებით. პირველი—ცხადყოფილია მსოფლიო ომის პროცესში, ხოლო მეორე—რევოლუციის პროცესში. თუ პირველმა მუშები გათიშა ეროვნების მიხედვით და ერთმანეთს შეახეთქა, მეორემ თვით ერის ფარგალში მოახდინა მუშათა გათიშვა და ერთი და იმავე ერის შვილი-მუშები ერთმანეთს შეაკლა.

დამტკიცდა, რომ მუშათა ინტერნაციონალური სოლიდარობა, ისე როგორც კლასიურ ინტერესთა ერთნაირი შეგნება უფრო ფიქცია ყოფილა, ვიდრე დაურღვეველი სინამდვილე.

დამტკიცდა ისიც—და ამაში ეჭვი არავის შედიოდა, რომ სახელმწიფოს ფარგალში ფიზიკური და რიცხობრივი გამარჯვება რჩება ერის სიმრავლეს, დემოკრატიას და რომ ამ გამარჯვებას მოჰყვა თვალცხადლივი დამარცხება მუშათა იდეოლოგიისა და სოციალისტური ექსპერიმენტებისა. რუსეთის რევოლუცია და მისი ბოლშევიზმი ამის ცოცხალი ფაქტია. ამას ამტკიცებს ჩვენშიაც მენშევიკური რევოლუცია და მენშევიზმის ბატონობა.

მსგავს მოვლენებს აქვს ადგილი ევროპის აჯანყებულს ქვეყნებშიაც.

ძალა-უფლების მქონე სოციალისტობა ქედს იდრეკს სინამდვილის წინაშე და იმ ეკონომიურ წარმოების პრინციპებს უბრუნდება, რომლის დამხობის ლოზუნგმა გაიტყუა ქალაქის მუშა და გლეხობა. საბჭოთა რუსეთი ამ ბოლო დროს მუშებს წელში სწყვეტს ნარდობით სამუშაოს გაცემით და მუშათა შორის ჯიბრისა და შეცილება-წახალისების შემოღებით. შრომის განაყოფიერობის ნიადაგზე.

სინამდვილე თეორიასა და იდეოლოგიაზე ძლიერი აღმოჩნდა. და მთელი ეს რევოლუციური ეპოპეა ხასიათდება მუშათა ფიზიკური გამარჯვებით და მათი იდეოლოგიის დამარცხებით. ამან უნდა გამოიწვიოს მუშათა მეთოდისა და იდეოლოგიის აუცილებელი გადასინჯვა, რომ კაცობრიობას ასცდეს ავაზაკური სისხლის ღვრა და უდანაშაულო მოქალაქეთა ხოცვა-ჟლეტა რევოლუციის და სოციალიზმის სახელით. თუ ამგვარის ორიენტაციით აღინიშნა წლევანდელი პირველი მაისი, მისი ნამდვილი გამარჯვება სწორედ მაშინ იქნება.

პრესსა

ხმები ინგლისელების შსახებ

„სახალხო საქმე"

„სახალხო საქმე" მორიგ მეთაურში ეხება იმ ხმებს, რომელსაც საქართველოს მტრები ავრცელებენ ჩვენი რესპუბლიკის შესახებ—თითქოს ინგლისს გადაწყვეტილი ჰქონდეს საქართველოს და სხვა ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ოკუპაცია და ამის შესახებ, თითქო დაბეჭდილი იყოს კიდეც ფურცლები, სადაც ახსნილი იქნება ინგლისელების მოქმედება. გაზეთი აღნიშნავს, რომ ამ ხმებს არაფერი რეალური საფუძველი არ აქვს და მხოლოდ შინაურ ცხოვრების ასარევად და ანარქიის გამოსაწვევად არის გავრცელებული ჩვენი მტრების მიერ. მათი სურვილია სახელი გაუტეხონ მთავრობას და ხალხში დაბადონ პანიკა, რომ ამით შემდეგ ისარგებლონ თავიანთ ბნელი მიზნების განსახორციელებლად.

ჯერ ინგლისელებს არ გამოუჩენიათ ისეთი სურვილი, მაგრამ ესეც რომ მოხდეს საქართველო იმდენად აფასებს თავის დამოუკიდებლობას და თავისუფლებას, რომ შეუძლებელია ასე იოლად დასტოვოს თავისი უფლებები. საქართველო ყოველთვის მზად არის თავისუფლებისათვის ბრძოლისთვის და რაც შეეხება წესიერების აღდგენას, ამაზეც ლაპარაკი ზედმეტია, რადგან არა ერთხელ ყოფილა აღნიშნული საქართველოში არსებული მშვიდობიანობა და სამოქალაქო ცხოვრების გარანტიები. გაზეთი ასე ათავებს წერილს:

„ქართველი ხალხი, როგორც წინად, ისე ეხლა ძალიან ფხიზლად არის. ამიტომ ხალხის დასამშვიდებლად, გაურკვევლობის მოსასპობად საჭიროა უეჭველად მთავრობამ და დამფუძნებელმა კრებამ ეს ხმები გაჰფანტოს, რათა არაფერი გაუგებრობა მოჰხდეს და ხალხმაც იცოდეს რაშია ნამდვილათ საქმე.

ვიმეორებთ, ეს ხმები უსაფუძვლო და გაზვიადებულია, მაგრამ იგი მაინც ხალხში ნერვიულობას და გრძნობათა ღელვას იწვევს. ამიტომ არის საჭირო ნამდვილი ცნობის გამოქვეყნება, რათა ყველაფერს მომზადებულათ შევხვდეთ და გაერთიანებული მშრომელი ხალხი ყოველთვის შესძლებს დაიცვას თავის სამართლიანი უფლებანი და დამოუკიდებლობა"...

„ბ რ უ ზ ი ა".

ამავე საკითხს ეხება გაზეთი „გრუზია" და შემდეგს სწერს:

„ინგლისის სარდლობამ მართლაც ადრე, თუ გვიან უნდა წარმოადგინოს თავის დეკლარაცია იმის შესახებ თუ რა მიზანი აქვს დასახული ინგლისს და რატომ იმყოფებიან ინგლისის ჯარები ჩვენში. ადვილი შესაძლებელია, რომ ამის მსგავსი „პროკლამაციები" მართლაც იყოს აწყობილი სტამბაში და მათი ოტისკები ენახოს ვიღაცას და სადღაც.

უნდა ვიფიქროთ, რომ ყველაფერი ეს მოხდება მაშინ, როცა გამოირკვევა ძალიან გართულებული მდგომარეობა პარიზის კონფერენციაზე. ძნელი წარმოსადგენია აგრეთვე, რომ რომელიმე აქტი ასეთი სერიოზული პოლიტიკური მნიშვნელობისა კავკასიაში გამომუშავებული და გამოცხადებული იქნას მანამ სანამ ამის შესახებ წინასწარ არ მოელაპარაკებიან ადგილობრივ მთავრობებს. რაც შეეხება კერძოთ საქართველოს, ჩვენ გვგონია, რომ აქაური ინგლისური სარდლობა ყოველშემთხვევაში საკმაოთ გარკვეულია სოციალურ წყობილებაში შეგნებული ექნება და საჭირო ინფორმაციასაც მისცემს ვისაც ჯერ არს, რომ უშუალო ურთიერთობაზე და წინასწარ პირობის დაუდებლათ საქართველოში არსებულ მთავრობასთან შეუძლებელია რაიმე დიდი ზომების მიღება, რომ ამან არ გამოიწვიოს ქართველი ხალხის სასტიკი წინააღმდეგობა.

დღევანდელი მთავრობა, პარტიული თავის შინაგან პოლიტიკით, საერთაშორისო კითხვებში აერთებს მთელ საქართველოს და შეძლება აქვს იმას დაეყრდნოს. იმას აქვს მინდობილი დაცვა მისი სიცოცხლის პატიოსნების და ამდენ ხანს ღირსეულათ ზიდავდა ისტორიისგან დაკისრებულ ამ დიდ პასუხისმგებლობას. ჩვენ, რასაკვირველია, არ ვართ მთავრობის ოფიციოზი და შეგვიძლია ხანდისხან არ ვიყოთ გარკვეული სხვადასხვა მიმართულებებში, მაგრამ რამდენათაც ჩვენ ვიცით საქართველოს მთავრობას ჯერ არავითარი მოლაპარაკება არ ჰქონია არც „ოკუპაციაზე" და არც „პროტექტორატზე"...

კონცესიები

ეკონომიურის თვალსაზრისით ჩვენი რესპუბლიკა ჯერ სრულიათ ხელუხლებელია. იმ ნედლ მასალათა მიხედვით, რომელიც ჩვენს ხელთ იმყოფება, იმ საჭიროების დასაკმაყოფილებლად, რომელსაც ეგრე რიგად განიცდის ყოველი მოქალაქე, დაგვჭირდება მთელი რიგი ქარხნების მოწყობა. მაგალითად, სართავ-საწყობი მრეწველობა ადვილად მოეწყობოდა, რადგან ჯერ ერთი საამისო მასალა ბევრი გვაქვს და მერე კაპიტალიც უსარგებლოდ არის გაჩერებული და ამ საგნებზე ხალხის მოთხოვნილებაც დღითი-დღე იზრდება. მოეწყობოდა კონსერვების ქარხანაც, ეს ჩვენი მებაღეობის კულტურის აუცილებელი მოთხოვნილებაა. თუ ჩვენ ჯერ-ჯერობით ყველა ამას ვერ ვახერხებთ, ამის მიზეზია უტრანსპორტობა და ჩვენი ვალიუტა. მაგრამ მეორეს მხრივ ისიც მართალია, რომ სომხებმა, რომელნიც ამ მხრივ ჩვენსავით ცუდ პირობებში იმყოფებიან, უკვე გაგზავნეს ინგლისში აგენტი საჭირო მანქანების შესაძენათ. მას ალბათ დაწყებულიც აქვს მოლაპარაკება ცნობილ ფირმებთან. ამგვარი წინასწარი მუშაობა ჩვენც შეგვეძლო, რომ სათანადო დაწესებულებას მეტი ინიციატივა გამოეჩინა.

არ არის საშიში ჩვენი ვალიუტა, რომელიც უფრო დაქვეითდება ჩვენი პლანეტის ყველა კანონების ძალით, თუ ჩვენ გარეშე ქვეყნიერობას ეგრე რიგად მოწყვეტილი დავრჩით, თუ შემოზიდვა გაზიდვას ადგილი არ ექნა და თუ პოლიტიკურათ ჩვენს დამორჩილების ცდაში იქნება ყოველი ძლიერი სტუმარი, რომელიც ჩვენი ვალიუ-

უკანასკნელი ცნობები

სერბია და ჩერნოგორია გაერთიანდა.

ამურის ოლქში იაპონელების წინააღმდეგ აჯანყება მოხდა.

გერმანულ ბოჰემიაში ჩეხო-სლოვაკებმა 29 გერმანული გაზეთი შეაჩერეს.

მიუნხენის წინააღმდეგ მომქმედ ჯარის სარდლად ნოსკე დაინიშნა.

ფინელებმა ოლონეცკი აიღეს.

ვალკის მიმართულებით ბოლშევიკები უკან იხევენ, ხოლო იუზოვკის მიმართულებით სადგ, იუზოვკა აიღეს.

რუსეთის ტერიტორიის გადალახვისათვის საბჭოთა მთავრობამ ფინლიანდიას პროტესტი განუცხადა.

ტის დაცემას შეეცდება, რომ თვისი ძალა გვაგრძნობინოს.

მაგრამ ჩვენს ხელშია ორი უებარი ძალა, რომელიც ჩვენ ერთსა და იმავე დროს ეკონომიურათაც უნდა გამოვიყენოთ და პოლიტიკურათაც.

ჩვენ გვაქვს უხვი დაუმუშავებელი ბუნებრივი სიმდიდრე: თეთრი ნახშირი, ტყვარჩელის ქვანახშირი და მიმოსვლის გზები, მოსაწყობი. ევროპა-ამერიკაში დაგროვილი კაპიტალი სიამოვნებით მოკიდებს ხელს ამ კონცესიებს, რომელიც მათ უნდა აწარმოვონ საკუთარი თანხითა და ვალიუტით. ჩვენ შეგვიძლია ეხლა, ამ წუთში გავსცეთ რაიმე კონცესია, შეფასებულ ოქროს წონითი ერთეულში.

როდესაც ანგარიშის ფუძეთა ოქროს წონითი ერთეულს მივიღებთ ვალიუტისა და კურსის მერყეობას ღირებულებათა დაფასებაში გავლენა აღარ ექნება. მაგ. კონცესია აქ წარმოადგენს ღირებულებას 1000 ფუთ ოქროსას. ეგ ღირებულება 1000 ფ. ოქროსი ადვილათ შეიძლება გადიტანოთ აქციოთ გირვანქა სტერლინგსა თუ დოლარებში. ავიღოთ რომ ეს ათასი ფუთი ოქროს ღირებულება რუსულ ოქროს მანეთის ფასით უნდა წარმოვადგინოთ, რომელშიაც 17424 წილადი (долей) წმიდა ოქროა. მაშინ ხსენებულ კონცესიის ღირებულება გამოისახება 21.157.024,793 ოქროს მანეთში. ამავე წესით შეიძლება იმავე კონცესიის გირვანქა სტერლინგიანი ქცევა ან დოლარით (ერთი ოქროს მანეთი უდრის 0,10574 გირვ. სტერლ. ან 0,51457 დოლარს). ამ წესით შეიძლება შეფასება-დაპირისპირება ჩვენი გასაცემ განძისა და უცხოელ ფულს შორის. ეხლა ისმება საკითხი, თუ რა რიგათ უნდა განაღდდეს ჩვენში, აქ, ადგილობრივ შრომა და ხელფასი ერთის მხრივ და საწარმოო მასალები მეორეს მხრივ. ვთქვათ ინგლის-ამერიკულმა რომელიმე საზოგადოებამ B აიღო ჩვენი კონცესია A. მას ეყოლება მუშები, ჩვენებური, აქაური, და ინჟინერ-ტეხნიკოსები უცხოეთიდან, რომელთაც დასჭირდებათ საკვები, ხეტყე, ბინა, მისვლა-მოსვლა, დაწესებულებები და სხ.

ჩვენს დამოუკიდებელ სახელმწიფოში სტერლინგსა და დოლარს არვინ მიიღებს, უკეთ ვთქვათ, საყოველთაო ყოველ დღიური გასავალი არ ექნება. საჭიროა ჩვენებური ფულით მოხდეს ყოველივეს განაღდება. ამისთვის არსებობს სახელმწიფო თავისი ბანკით და ხაზინით, სადაც B მიიღებს საჭირო ქართულ ფულს წარდგენილ ანგარიშებისამებრ. ამ წუთიდან კი კურსი ისევ ძალაში შევა, რა გინდ საზომი არ უნდა დაუდვათ ფუძეთ ჩვენს ანგარიშს ოქროსა თუ ხორბლის წონითი ერთეული. მაგრამ კურსის საკითხი სწორეთ ამ წუთიდან უფრო მარტივი ხდება და ჩვენთვის სასარგებლო. ერთი მისთვის, რომ ახალ წარმოების დაწყებით, ძალთა ამუშავებით ჩვენს ცხოვრებასაც მეტი სიცხოველე დაეტყობა, მუშა ხელზე მოთხოვნილება აიწევს და ჩვენი ფულიც ბაზარზე გამოვა; მეორეს მხრივ კი უცხოელთაგან წარმოების გახსნას თან მოჰყვება დიდი ტრანსპორტები პირველ საჭირო ნივთებისა პურისა და შაქრისა, რაც თავის მხრივ ძალზე იმოქმედებს ჩვენს ვალიუტაზეც. იგი საგრძნობლათ აიწევს.

სამაგიეროთ მთავრობას შეძლება ექნება მიღებულ ავანსიდან გადადოს წილი იმავე უცხოეთში საჭირო მანქანების შესაძენათ უახლოეს მომავალში რომ სართავ-საქსოვი, კონსერვების და სხვ. ქარხნები მოვაწყოთ. საქარხნო სამკაულის შესაძენათ საჭირო თანხა იქვე უცხოეთში რჩება, რაც ფინანსიურათ მიჩნეულ სახელმწიფოსათვის ძალზე ხელსაყრელია და ასეთი პერსპექტივა მისთვის ძლიერ მიმზიდველი იქნება, რადგან მას მთელი ოცდა ერთი მილიონი ოქროს ფულის კი არა მხოლოდ ნაწილის გაცემა დასპირდება.

ეხლა მივიღოთ სახეში, რომ ჩვენი კონცესიები ათეულათ ითვლება; მათი ღირებულება ძალზე დიდია. წარმოვიდგინოთ რომ კონცესიების საქმე ჩვენ ფართოთ მოვაწყეთ და დიდი მაშტაბით ვაწარმოეთ. მხოლოთ სამგვარი კონცესია: ფერ მარგანეცისა და ქვანახშირისა, თეთრი ნახშირისა და რკინის გზისა საკმარისი იქნება ახალი ვალიუტის შესაქმნელათ. მხოლოთ ტყვარჩელის ქვა ნახშირი წარმოადგენს რამოდენიმე ასეულ მილიონის ღირებულებას. მაგრამ ამ განძეულობის ჩვენი სახელმწიფოებრივი და ეკონომიური თვალსაზრისით სავსებით გამოყენება შეიძლება მხოლოთ იმ შემთხვევაში თუ ჩვენ შევსძლებთ მოვახდინოთ ერთგვარი შეჯიბრება უცხოელ კაპიტალისტების შორის, რაც მოხდება თუ ჩვენ სავსებით თავისუფალნი ვიქნებით ამგვარ ჩვენს მოქმედებაში. აი, სწორეთ ამისათვის ჩვენი ინტერესი მოითხოვს კონცესიების დაჩქარებას, რომ რომელიმე გარეშე ძალა, შეიძლება რეაქციონური ან ანარქიულ უტოპისტური რაიმე მანქანებით, არ გაძლიერდეს ჩვენში. საზოგადოთ ჩვენი ინტერესი მოითხოვს რამოდენიმე, ერთი მეორის მოპირდაპირე სახელმწიფონი იყვნენ დაინტერესებული ჩვენი სახელმწიფოს ბედით. ყველანი ისინი თანაბარ ძალას უნდა წარმოადგენდენ, რომ ძალთა სიჭარბეს ადგილი არ ექნას. ჯერ-ჯერობით ჩვენ კიდევ შეგვიძლია თავისუფლათ გავქანდეთ არჩევანის სივრცეში, თუმც ეგ უკანასკნელი ანტანტის სახელმწიფოებით ვიწროთ არის შემოფარგლული და ჩრდილოეთს, სკანდინავიას იქ ადგილი არა აქვს. ჩვენ ამ სივრცით უნდა დავკმაყოფილდეთ და დრო არ უნდა გავუშვათ, რადგან არ ვიცით ხვალინდელი დღე ვის მიუტანს ძალთა სიჭარბეს და როგორ შეიცვლება პოლიტიკური ვითარება. თუ ამ თავითვე ერთგვარათ დავაინტერესეთ თუნდაც ორი სხვა და სხვა სახელმწიფო ჩვენის ქვეყნით,—და ეს ჩვენ კიდევ შეგვიძლია დღეს დღეობით—შემდეგ ადვილი იქნება status buo-ს დაცვა. თუ ეს ვერ მოვახერხეთ პოლიტიკური ძალის სიჭარბე რომელიმე მესამე ძალას ისეთ პოზიციას დააკავებინებს ჩვენს მიმართ, რომ სრული თავისუფლებას ეკონომიურ დამოკიდებულებათა არჩევანში შეიძლება საფრთხე განუმზადოს. მაშინ კი უკვე ნაგვიანევი იქნება.

ჩვენ უნდა მივმართოთ ინგლის-ამერიკას კონცესიების შესახებ და მათი აზრის გამორკვევის შემდეგ თუ საჭირო იქნება შევეცადოთ დავაინტერესოთ ევროპის სხვა სახელმწიფოები: იტალია, საფრანგეთი თუ შვეიცარია. ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ინტერესი მეტ დაყოვნებას ვერ მოითმენს. ჩვენ უნდა დავაჩქაროთ ეგ პროცესი, რომ რაც შეიძლება ხელ-საყრელ გარემოებასა და პირობებში მოხდეს იგი და რაც შეიძლება მეტი უცხო სახელმწიფოები იყვნენ წარმოდგენილნი ჩვენში.

კონცესიების საკითხი მჭიდროთაა გადასკვნილი პოლიტიკური ხასიათის ცვალებად გარემოებებთან. შესაფერ მომენტის შერჩევა მათი ეკონომიურათაც და პოლიტიკურათაც გამოსაყენებლათ—აი, მორიგი ამოცანა.

ტ. მ.

ამიერ-კავკასიის კონფერენცია

აპრილის 27-ს დაწყებულ ამიერ-კავკასიის სახელმწიფოთა წარმომადგენლების კონფერენციას ჯერ მართალია, სავსებით არ უჩვენებია ჩვენთვის თვისი ნამდვილი არსება, მაგრამ დაახლოვებული დიაგნოზის დასმა მაინც შესაძლებელი გახდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, როცა ყველა საზოგადოებრივ ჯგუფისა თუ მიმართულების აზრი პრესაში იქნა გამოქვეყნებული.

ჩვენ გავეცანით აზერბაიჯანის, სომხეთის და საქართველოს როგორც მმართველ წრეების აზრს, ისე ქვეყნების საზოგადოებრივ აზრსაც. ეს აზრი არ გასცილებია ზოგად ფრაზებსა და სურვილების გამოთქმას: საჭიროა შეთანხმება, სოლიდარობა..., დავილუპებით, თუ საერთო მტრის მოახლოვება ვერ ვიგრძენით...

მაგრამ რა გზით, რა საშუალებით, რის დათმობით, ან რის მიღებით, ამაზე კრინტს არავინა სძრავს. თუ არა გაკვრით, საფუძვლიანად არც ერთი მხარე არ სცდილა რაიმე კონკრეტიული, ხორცშესხმული აზრი გამოეთქვა და ამით ერთგვარი გარკვეულობა შეეტანა კონფერენციის მიზანშეწონილობას ან მიზანშეუწონლობაში.

ხოლო სწორედ ეს იყო უმთავრესი, მით უმეტეს, რომ იმ ურთიერთის დამოუკიდებლობის ცნობაში, რომელიც ასე უხალისოდ ჩატარდა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა შორის, ბეჯითი რწმენის ნასახიც კი არ მოიპოება.

კონფერენციას უთუოდ აქვს ერთგვარი პროლოგი. ეს იყო ის გამწვავებული მდგომარეობა, რომელიც უკანასკნელ ხანებში არსებობდა და გამოიხატა იმაში, რომ სომხეთი მოკავშირეთა სარდლობის წინაშე კათეგორიულად აცხადებს თავის უდავო ტერიტორიად თბილისის მაზრის დიდს ნაჭერს, ხოლო აზერბაიჯანის პრესა საქართველოს საწინააღმდეგოდ აღებულ ტონითა წრთვნის საზოგადოებრივ აზრს.

ძნელია იმის თქმა, თუ როგორი ეპილოგი ექნება ამ კონფერენციას, ხოლო ცხადია კი, რომ რეალურ ძალთა განწყობილება, როგორც დიპლომატიურ, ისე მილიტარულ სფეროში, გადამჭრელი წონისა იქნება ამა თუ იმ პრეტენზიის წამოყენების დროს.

გარეშე ძალაზე დიდი იმედების დამყარების ხანამ განვლო და არც მარტოოდენ დემოკრატიული საზომებით იხელმძღვანელებს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა დიპლომატების ყრილობა. ყველა გამსჭვალულია თვისი ერის სახელმწიფოებრივის ინტერესით. სულ ახლო მომავალი გვაჩვენებს ამ ინტერესების შემარიგებელ ელემენტთა რაოდენობას.

საქართველოს მმართველ პარტიას აუღია კიდეც ალღო ამ კონფერენციისათვის და ამზადებს ნიადაგს ახალი, უფრო უტოპიური ინსტიტუტის შესაქმნელად. ეს არის „სოციალისტურ და დემოკრატიულ ფრაქციების კონფერენცია, რომელიც ჭეშმარიტს ნაბიჯს გადასდგამს ამიერ კავკასიის ერთა სოლიდარობის მისაღწევად“. ამ „პარალელურ“ კონფერენციის მიზანი ყოფილა ის, რომ „ამიერ-კავკასიის კონფერენცია ვერ შესძლებს ყველა სადაო საკითხების საბოლოოდ გადაჭრას“.

ვნახოთ, რას მოგვცემს ერთი ან მეორე კონფერენცია, მაგრამ საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესი გადაჭრით მოითხოვს, რომ ერთი მტკაველი მიწაც (ალბად ამას უძახიან ჩვენი მენშევიკები ყველაზე „სადავო საკითხს“) ჩვენი მთლიანი და განუკვეთელი ტერიტორიისა არავის არ უნდა დაეთმოს.

საქართველოს ინტერესი სავსებით უნდა ჩრდილავდეს როგორც კლასის, ისე ყოველი განყენებული პრინციპის ინტერესს.

ჩვენი მეზობლები, მართალია, კატეგორიულად მოითხოვენ ლორესა და ბამბაკსაც, ახალციხე-ახალქალაქსაც, საინგილო-ზაქათალასაც, მაგრამ მათ საპასუხოდ უფრო კატეგორიული „non possumus“ უნდა იქნეს თქმული ჩვენ მიერ. ამის უფლებას გვაძლევს და ამას გვავალებს ჩვენი სახელმწიფოებრივი, ისტორიული და კულტურულ-ეკონომიური ვითარება და ინტერესი. მაშინ როდესაც პრეტედენტების არც ერთ ამ ხასიათის უფლება არ აქვთ.

ი. ხ.

ბორჩალოს მაზრ. 6 სოფლის შუამდგომლობა საქ. მთავრობასთან

ბორჩალოს მაზრის 6 სოფლის მაჰმადიანები საქართველოს დამფუძნებელი კრების წინაშე შუამდგომლობენ, ხსენებული რაიონი საქართველოს სახელმწიფოს შეუერთონ. შუამდგომლობაში ნათქვამია.

უხსოვარ დროთა მართლმორწმუნეთა ტაძრები, ძეგლები და საფლავები, რომლებიც დღემდე ჩვენში დაცულია სამუდამოდ ამტკიცებენ იმას, რომ ლორის სამაჰმადიანო რაიონი მუდამ განუყოფელი ნაწილი იყო საქართველოს სახელმწიფოსი და ამ რაიონის მოსახლენი თვიანთი სისხლით იცავდნენ საქართველოს მთლიანობასა და თავისუფლებას. ჩვენ არასოდეს არ გავქცევივართ საქართველოს და მუდამ ჭირსა და ლხინში ერთად ვყოფილვართ.

ეს ერთგულება ჩვენ ბორჩალოს მაზრისა და განსაკუთრებით ლორის მაჰმადიანებმა დავამტკიცეთ, როგორც ძველად ისე ახლა ოსმალოს ჯარის შემოსევის დროს ისე სომხების ომის დროს.

ჩვენ ყველა ბორჩალოს მაზრის მაჰმადიანები და სხვა ყველა ეროვნებანი გარდა მცირე რიცხოვან მოპოლიტიკოსო სომხობისა. ჩვენი ერთგულობა საქართველოსადმი დავამტკიცეთ სხვა და სხვა დროს საქართველოს მთავრობისათვის მირთმეულ საზოგადო დადგენილებებით სადაც სრულიად გარკვეულად და კატეგორიულად მოთხოვნილი იყო ლორის რაიონის საქართველოსთან შეერთება, რათა ეს რაიონი არ შეერთებინათ გუმბრის სომხეთა ახლად შემდგარ ტერიტორიისათვის, რომელთანაც ჩვენ მხარეს არასოდეს არავითარი საერთო არა ჰქონია და არც ექნება. მიუხედავად ჩვენი ასეთი კატეგორიულად მოთხოვნილებისა; საქართველოს მთავრობა როგორღაც ხსენებულ მაზრას სადავო-ტერიტორიად სთვლის, რაც ძლიერ ცუდ მდგომარეობაში გვაყენებს. ჩვენ თბილისთან დაკავშირებული ვართ ეკონომიურად-პოლიტიკურად სულიერად და ყოველ მხრივ მისგან ჩამოშორება არ შეგვიძლია. ამიტომ უმორჩილესად ვსთხოვთ საქართველოს მთავრობას ყოველგვარი ზომები მიიღოს ჩვენი მაზრის საქართველოს ტერიტორიასთან შეერთებისათვის. ამ შუამდგომლობას ხელს აწერს ექვსი სოფლის მცხოვრებნი განურჩევლათ სარწმუნოებისა და ეროვნობისა.

ქრონიკა

◆ **ამიერ-კავკასიის ერთა კონფერენცია.** ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა კონფერენციის პირველი საქმიანი სხდომა გაიხსნა გუშინ საღამოს 7 საათზე.

◆ **მისალოცი დეპეშები.** ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა კონფერენციის პრეზიდიუმს მოსდის დიდძალი მისალოცი დეპეშები, რომელშიაც უსურვებენ კონფერენციას ნაყოფიერ მუშაობას და იმედს გამოსთქვამენ, რომ კონფერენცია შესძლებს ამიერ-კავკასიის ერთა შორის სადაო საკითხების მშვიდობიანად გადაჭრას.

ერობაში

◆ **წვრილ ერთეულთა არჩევნები.** თბილისის სამაზრო ერობის წვრილ ერთეულთა არჩევნები დანიშნულია 4 მაისისათვის. მაგრამ ცხადი გახდა, რომ ზოგმა რაიონებმა არ ისურვეს გამგეობის მიერ შემუშავებული საერთო კომუნალური სია და კერძო სიებით აპირობენ გამოსვლას.

◆ **კოდა-აღბულაღის გზატკეცილი.** კოდა-აღბულაღის გზატკეცილი თბილისიდან 56 ვერსით დაცილებული თბილისის სამაზრო ერობის განკარგულებაში გადავიდა. აღნიშნული გზატკეცილი ძლიერ დაზარალებულია ერობას განზრახული აქვს ამ გზის შეკეთება რისთვისაც მან გაგზავნა სპეციალური პირები, რომლებიც გამოარკვევენ ხსენებულ გზატკეცილის მდგომარეობას და მოელაპარაკონ ადგილობრივ მცხოვრებთ, გზის შეკეთებაში მონაწილეობის მისაღებათ.

◆ საქართველოს წითელ ჯვრის საზოგადოების მთავარი სამართველო 11 მაისს იწვევს საზოგადოების წევრთა საგანგებო კრებას ფრიად საჩქარო და საყურადღებო საკითხების გასარჩევად.

◆ **გზა-ტკეცილები** თბილისის სამაზრო ერობის გამგეობამ სპეციალური პირები დაგზავნა მაზრაში დავალებული აქვთ შეისწავლონ, რაოდენობა გზატკეცილებისა და გამოარკვიონ თუ სად არის საჭირო ახალი გზატკეცილების გაყვანა.

◆ **საავადმყოფოების ჩაბარება.** ერობამ დაგზავნა საგანგებო კომისიები მაზრაში, კომისიებს დავალებული აქვს მაზრის ყველა საავადმყოფოები ჩაიბარონ და თანაც მათ შესაკეთებლათ და გასაუმჯობესებისათვის საჭირო ხარჯთ-აღრიცხვა შეიმუშაონ.

◆ **აბანოების შესახებ** თბილისის სამაზრო ერობამ შუამდგომლობა აღძრა მიწათ-მოქმედების სამინისტროს წინაშე, რათა ხელსაყრელ იჯარით დაუთმონ მას თბილისის მაზრაში 5 აბანო. ერობას განზრახული აქვს ხსენებული აბანოები სათანადოდ მოაწყოს და ბალნეოლოგიურ სადგურებად გააკეთოს.

◆ **ლტოლვილთა თავშესაფარნი.** 1 მაისიდან სომეხ ლტოლვილთა ყველა თავშესაფარნი ამერიკის ლტოლვილთა დამხმარე კომიტეტის განკარგულებაში გადადიან.

◆ **ლტოლვილების გამგზავრება ყარსში.** დღეს დილის 10 საათზე თბილისიდან ყარსში ლტოლვილთა პირველი მატარებელი გავა.

სადაო ზონაში.

◆ **ახალქალაქ-ახალციხის მაზრაში სასამართლოს მოწყობისათვის.** გუშინ, 29 აპრილს, იუსტიციის მინისტრის ამხანაგის განკარგულების თანახმად, ახალქალაქისა და ახალციხის მაზრებში გაემგზავრნენ თბილისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარე, პროკურორი, სასამართლოს ორი წევრი და გამომძიებელი, რომელთაც დაევალათ საჩქაროთ გამოიძიონ ბოროტმოქმედებანი, რომლებიც იქ ხდება, დაუყონებლივ მოაწყონ სასამართლო და საგამომძიებლო აპარატი და დაეხმარონ იქვე სამხედრო ნაწილებს სამხედრო საგანგებო სასამართლოს ორგანიზაციაში ბოროტმოქმედთა დასასჯელათ.

◆ **შიხლინელების თავდასხმა ყაზახის მაზრის მცხოვრებლებზე.** თბილისის მაზრის კომისარი შინაგან საქმეთა სამინისტროს ატყობინებს, რომ ყაზახის მაზრაში შიხლინელები თავს ესხმიან ადგილობრივ მცხოვრებთ სძარცვავენ და აწიოკებენ მათ. ხსენებულმა სამინისტრომ თავისდათავად სთხოვა სამხედრო სამინისტროს, რათა ყარაის მოსაზღვრე დარაჯებმა არ შემოუშვან შიხლინელები.

სომეხთა ცხოვრება

◆ **სომხეთის საბჭოს არჩევნები.** საქართველოს სომეხთა ეროვნულ საბჭომ გადასწყვიტა მოახდინოს ახალი არჩევნები, რისთვისაც არჩეული იქნა ცენტრალურ საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით: ა. აბეგიანი(დაშ) ლი ტერ-ღაზარიანი (ს.-დ.), ა. ტერ-გრიგორიანი (ს.-რ.), ა. ბარხუდარიანი (სომ. სახ. პარ.). კომისია უკვე შეუდგა მუშაობას.

სხვა და სხვა ამბები.

◆ **ფულის მოთხოვნა ყაჩაღების მიერ.** 29 აპრილს საღამოს 5 ნახ. ს. რაბინოვის სავაჭრო სახლში (გოლოვინის ქ.) შევიდა ვიღაც ახალგაზრდა, რომელმაც ყაჩაღთა ერთი ჯგუფის სახელით მოსთხოვა მათ 50,000 მან. საბინოვის შვილი გამოვარდა ქუჩაზე და ყვირილი მორთო, რომლის ყვირილზედაც მიირბინეს მილიციელებმა და დაიჭირეს ბოროტ-გამზრახველნი რომელიც აღმოჩნდა სვანაძე.

◆ **თავდასხმა.** 28 აპრილს, საღამოს 9 საათ. შერემეტევის ქუჩაზე, № 18, ფ. სარქისოვის ბინაზე შეიჭრა ორი შეიარაღებული პირნი მილიციონერების ტანთსაცმელით და სიკვდილის მუქარით 50,000 მ. გაიტაცეს და მიიმალნენ.

სარქისოვის ჩვენებით ერთი ბოროტმოქმედთაგანი მეორე კომისარიატის მილიციონერ ქობალაძეს წაგავდა.

◆ **მოკლულის გვამი.** 29 აპრილს ალექსანდრეს ქუჩაზე, № 40, ეზოში მოკლულის გვამი აღმოაჩინეს. მოკლულის ვინაობა გამოურკვეველია.

შეცდომის გასწორება

გუშინდელ მეთაურში შემდეგი კორექტურული შეცდომაა დაშვებული: სწერია — **სახელმწიფოებრივი დანა**; უნდა იყოს—**სახელმწიფოებრივი დანაშაული.**

პარტიული ცხოვრება

ახალგაზრდათა კრება. კვირას, მაისის 4-ს, საღამოს 6 საათზე, „საქართველო“ს რედაქციაში შესდგება მორიგი კრება ეროვნულ დემოკრატიულ ახალგაზრდებისა. მორიგი მომხსენებელია ტიტე მარგველაშვილი.

სამხატვრო ქრონიკა

სახელმწიფო თეატრი. დღეს, ხუთშაბათს, 1-ლ მაისს, სამაისო დღესასწაულის წარმოდგენა ა) პეტროგრადის ცნობილ მუსიკალურ მსახიობ მ. დავიდოვის (როზინას პარტიაში) მონაწილეობით—„სევილიელი დალაქი“. ბ) დიდი აპოთეოზი. შაბათს, 3 მაისს „თაისი“. კვირას, 4 მაისს, დილით „ჯამბაზები“ და ბალეტი. საღამოთი მ. მარკოვის ბენეფისი, ალეშკოს მონაწილეობით „აფრიკელი ქალი“.

—

ახალი პიესა ბელეტრისტმა ინ—ბანმა დასწერა ახალი პიესა „ფარვანა“.

—

ვასილ ბარნოვი სწერს ისტორიულ რომანს: „ხაზართა სასძლო,,.

ქართული კლუბი. ქართულ კლუბში 4 მაისს ქართველ მსახიობთა მიერ ნინო დავითაშვილის, [illegible] გამყრელიძის გ. იმ[illegible]ობით წარმოდგენილი იქნება „სამშობლო“

პროვინციის ცხოვრება

ქუთაისი.

საეპარქიო კრება. გუშინ მოხდა იმერეთის საეპარქიო კრება. გასარჩევი იყო საკითხები: 1. სანთლის წარმოების მოწყობა ეპარქიაში, 2. სამღვდელოების ნივთიერი უზრუნველყოფა. 3. სამღვდელო კანდიდატების მოსამზადებელ სკოლის დაარსება, 4. საეკლესიო დაწესებულებათა შესანახი თანხის გამოძებნა, 5. სამღვდელოებისათვის ემირიტარულ კასის დაარსება.

მკვლელობა 24 აპრილს სამთო უბნის კომისარიატში უბედურება დატრიალდა. მილიციელ ვლ. მეფარიშვილმა პირადულ ინტერესების გამო მოჰკლა კომისარის თანაშემწე შ. ლანყავა. მილიციელი მკვლელობის შემდეგ ქუჩებში გამოვიდა და სროლა ასტეხა. მილიციელი მეფარიშვილი დააპატიმრეს და საგუბერნიო ციხეში გაგზავნეს.

—

ქ. ოზურგეთი

ოზურგეთის მილიციის უფროსის ლომიძე ატყობინებს ქუთაისის ადმინისტრატიული ნაწილის ინსპექტორის თანაშემწეს გეგელაშვილს რომ იქ 18 აპრილს ბაზარზე ტყვიით დასჭრეს გიორგი ჩხაიძე. დამნაშავე შეიპყრეს.

სოფელ ლიხოურში (ოზურგეთის მაზრა) პალიკო ბერძენიძემ გაიტაცა კონსტანტინე იორაიშვილის ქალიშვილი.

—

ს აბაშა.

13 აპრილს, ნაშუადღევის 2 საათზე აბაშის რაიონის კომისარი სოფელ სამიქაოში თავს დაესხა ცნობილ სამეგრელოს ავაზაკს ტარასი ლოჩოშვილს, რომელიც ღამეს ათევდა საჩინო მიქაძის ოჯახში. ავაზაკი არ დანებდა ცოცხლათ მილიციას და სროლა აუტეხა, მაგრამ ას-ოცამდე ტყვიის გასროლის შემდეგ თვითონ შეიქმნა მილიციის ტყვიის მსხვერპლი, ხოლო სროლის დროს სახლის პატრონიც მოკვდა, რომელიც კომისრის წინადადებით გარეთ არ გამოვიდა და ლოგინ ქვეშ შემძვრალიყო. ამბობენ თვით ლოჩოშვილმა ექვი მოიტანა მაზედ მილიციის გამოწვევაში და მოჰკლაო.

ცირკულიარული განკარგულება

თბილისის სასამართლო პალატის და ყველა ოლქის სასამართლოების თავმჯდომარეებს და პროკურორებს.

იუსტიციის სამინისტროში მოსულ ცნობებიდან სჩანს, რომ ხშირად სისხლის სამართლის საქმეების გამოძიება მეტად ფერხდება და გვიანდება იმითი, რომ მოკლულთა გვამების თავის დროზე გაჭრა და გაუქმება შეუძლებელი ხდება, რადგან ადგილობრივად არ მოიპოვებიან საამისო ექიმები და თან ექიმების მისვლა მოსვლის ხარჯიც მეტად დიდია.

ამიტომ საჭიროთ ვთვლი, ასეთ შემთხვევებში წინასწარ გამოძიების საჩქაროთ წარმოებისა და გათავებისათვის განვმარტო თქვენს სახელმძღვანელოთ შემდეგი:

სისხლის სამართლის წარმოების წესდების არც მე-336 და არც სხვა რომელიმე მუხლი გადაჭრით არ მოითხოვს, რომ ყველა საქმეზე გვამი აუცილებლივ იქმნას გაჭრილი, კანონმდებელი გვამის გაჭრას უთანასწორებს სხვა ექსპერტიზმს, რომელიც კი საჭიროა სისხლის სამართლის საქმეში ჭეშმარიტების გამოსარკვევად. (მე-336 მუხ. სისხ. სამართ. წარმოებ. წესდ.). ამის გამო ყოველ იმ შემთხვევაში, როცა სიკვდილის მიზეზი და ის პირობები, რომლებშიაც მკვლელობა მოხდა, შეიძლება გამოირკვეს გვამის გასინჯვით, მოწმეთა დაკითხვით და სხვა ზომებით, საჭიროთ აღარ უნდა იქნეს მიჩნეული გვამის გაჭრა, იმ პირობით კი, რომ ამის შესახებ გამომძიებელმა დასაბუთებული დადგენილება უნდა შეადგინოს, რომელშიც უნდა განმარტოს, რატომ არ მიაჩნია საჭიროთ გვამის გაჭრა, და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ დადგენილებას არ დაეთანხმება პროკურორი ან სასამართლო. გვამი უნდა გაიჭრის და შესაფერი ოქმი იქნას შედგენილი.

იურიდიულ საზოგადოებაში

საქართველოს იურიდიულ საზოგადოების საერთო კრება დანიშნულ სამ მაისს, შაბათს, საღამოს 7 საათ

სამოსამართლო პალატის შენობაში სამოსამართლო ქუჩაზე, განსახილველია საგნები:

1. საბჭოს მოხსენება საზოგადოების მოღვაწეობის და მის პერსპექტივების შესახებ.

2. სასამართლოს დამოუკიდებლობა.

3. იუსტიციის სამინისტროს რეორგანიზაცია (მოხსენებას წაიკითხავს ნაფიცი ვექილი გ. ჟორდანია).

4. მომრიგებელ მოსამართლეთა არჩევნების შესახებ და სხვა. საბჭო მოუწოდებს ყველა წევრებს დაესწრონ კრებას და მოაგონებს ყველა არა წევრებს ქართველ იურისტებს მათ ზნეობრივ მოვალეობას ჩაეწერონ საზოგადოების წევრებად და ხელი შეუწყონ ახალგაზრდა საზოგადოების აღორძინებას.

რუს ქვეშევრდომ დაჭრილთა კავშირისთვის

თბილისის ქალაქის დაჭრილთა კომიტეტი არიგებს და ანაწილებს დაჭრილ დასახიჩრებულთა შორის, საქართველოს რესპუბლიკის საინტენდანტოდან გამოტანილ სურსათ-სანოვაგეს. უკანასკნელათ სარგებლობენ საქართველოს ქვეშევრდომ დაჭრილების გარდა, აგრეთვე ეგრედ წოდებული „რუს ქვეშევრდომ დაჭრილთა კავშირის“ წევრებიც. გაზეთებში (იხ. „საქართველო“ № 33, და 91 „სახალხო“ № 493) სამართლიანად იყო აღნიშნული, რომ „რუს ქვეშევრდომთა კავშირის“ წევრების უმრავლესობას შეადგენენ რუსის ოფიცრობა, რომლებიც საქრთველოში დენიკინის აგენტების როლს ასრულებენ. ისიც აღნიშნული იყო იმავე გაზეთების №-ში, რომ მატერიალური დახმარება „რუს ქვეშევრდომ დაჭრილთა კავშირს“ მიუღია დენიკინიდან და ბიჩერახოვიდან სულ 250,000 მანეთი. ამ ცნობებს თუ ჩვენ დაუმატებთ იმას, რომ ინგლისელებიც სისტემატიურად აძლევენ ამ კავშირს, თავის წევრების საჭიროებისათვის თეთრ პურს, შაქარს, კონსერვებს და სხვა სანოვაგეს, მაშინ ჩვენთვის გაუგებარი დარჩება თუ, რატომ აძლევს ქალაქის დაჭრილთა დამხმარე კომიტეტი მათ, ჩვენი ღარიბი „ბეღლიდან“, სურსათ სანოვაგეს. ჩვენ ქართველი დასახიჩრებულნი, ჩვენი საყვარელი სამშობლოსათვის ვიტანჯით და დღესაც ვიტანთ გაჭირვებას—არ ვაწუხებთ მთავრობას, რადგანაც ვიცით ჩვენი რესპუბლიკის ფინანსიური გაჭირვება, მაგრამ როცა ვხედავთ, რომ წვრილ-ფეხა „ადმინისტრატორები“ თავისუფლებისათვის და რევოლიუციისათვის მებრძოლთა ინტერესებს მსხვერპლად სწირავენ რეაქციის დამქაშებს, ნურას უკაცრავად თუ ხმა ამოვიღეთ და მყუდროება დავარღვიოთ. ზედმეტი და „თავზე საყარი“ სურსათი არ მოგვეპოვება და თუ მაინც ჰხდება ეს უსამართლობა, ეს უნდა შივაწეროთ, როგორც „ავი ენები“ ლაპარაკობენ იმ სიმპატიას, რომელსაც იჩენს თურმე ქალაქის დაჭრილთა დამხმარე კომიტეტი და მისი თავმჯდომარე ქ-ნი ტოროშელიძე, რუს ქვეშევრდომ დაჭრილთა კავშირის მიმართ. ჩვენ დარწმუნებული ვართ ვისგანაც ჯერ არს მისგან ყურადღება მიექცევა ქალაქის დაჭრილთა დამხმარე კომიტეტის მოქმედებას.

სამშობლოს დარაჯი.

ნოვოროსიისკში

(წერ. საკ. კორესპ.).

24 მარტს ქალაქში მდგომარეობა ნერვიულია. ოდესის საბჭოთა ჯარის მიერ დაპყრობას, სარდალ დიანსელმის ბრძანებას—ფრანგთა წასვლას და ყირიმის ევაკუაციის დაწყებას საერთო შიშიანობა გამოუწვევია მცხოვრებთა შორის. პრესა აშვიდებს დამფრთხალ ხალხს, არწმუნებს, რომ სარდალ დიანსელმის განკარგულება ფრანგულ დივიზიების საჩქაროდ უკან გაწვევის შესახებ გამოწვეულია კონსულ ენოს და ბუქარესტის უთანხმოებით, რაც მოკლე ხანში ისევ მოხალისეთა ჯარის სასარგებლოდ შეიცვლებაო. გაზ. „კუბანსკ. სლოვო“ № 49 სწერს: „მოხალისეთა ჯარის ცხოველ მყოფელ იდეას ვერვინ დაუდგეს წინ, კოლჩაკთან ურთიერთობის მოწყობის შემდგომ ახლოვდება ის მომენტი, როცა მალაროსიის გაწმენდით მოსკოვზე წავალთ, იქ ხალხი ლოცვა კურთხევით მოგვეგებებს. მაგრამ სანამ ჩვენ ველიკორუსეთში შევიდოდეთ აუცილებელია უზრუნველ ვჰყოთ ჩვენი თავი კავკასიაში, რისთვისაც მთიელებთან უნდა ანგარიშის გასწორების მერე ჩვენ უნდა დავიკავოთ აქეთ ყველა სტრატეგიული ადგილები, რომლებიც უზრუნველჰყოფდენ რუსეთის საზღვრების აღდგენის საქმეს... ინგლისის პოლიტიკა, როგორი ხასიათისაც არ უნდა იყოს, იმაში კი წინასწარ უნდა დავწრმუნდეთ, რომ ინგლისი უფრო ენდობა დენიკინს, როგორც უღრესად სახელმწიფო კაცს, ვიდრე ბაქოს მმართველთ ან თბილელ ამაყებს. მოხალისეთა ჯარის გამჭრიახობაზეა დამოკიდებული კავკასიის გაერთიანება, რაც თავის დღეში ვერ მოხდება ყუბანის მთავრობის მიერ განზრახულ კონფერენციებს, რომელსაც აგრეთვე ამიერ-კავკასიიდან ქართველებიც უნდა დასწრებოდენ თანახმად მათი წარმომადგენლის ბ-ნ ვაჩეიშვილის განცხადებისა, მაგრამ პირობები შეიცვალა, საკითხი პრაქტიკულ ნაბიჯებად სწყდება და კონფერენციები არ დაგვჭირდება. ამიერ-კავკასიის „ახალ რესპუბლიკათა შორის“ ყოყოჩობენ მხოლოდ ქართველები, მხოლოდ მათ განიზრახეს, ეროვნულ სახელმწიფოს შექმნა, რაიც შეეხება სხვებს მაგ. აზერბაიჯანი წინააღმდეგია ყოველგვარ გაეროვნულების რუსი მოხელეები ჰყავს და ყველაზე საკვირველი ის არის, რომ უმაღლეს სასამართლოში ჩვენი სახელოვან მეფეების კანონები დასტოვა... ეს გახლავთ რუსულ კულტურის პატივი და რუსული ორიენტაცია... ქუჩებში ხალხს ასეთი იმედიანი სიტყვები ვერ ამშვიდებს. სავსეა ნავთსადგურები, ტევა არ არის რკინის გზის სადგურებზე, კერძო პირები ოხვრით ამბობენ, რომ სულ მალე ბოლშევიკები დონის როსტოვში მოვლენ, საქმე რომ ცუდათ არის ამას არ მალვენ არც სამხედრო პირები. გენ. თ-დი პოლიტაევი შტაბის წინ აცხადებს: „პოლკე რაზგრომა დონა, ვოპასნოსტი კუბანი, ი ზაშჩიჩატ და ნეკომუ...“ გენ. დრაგომიროვი პოლიტაევს იბარებს და ასეთ უტაქტო ლაპარაკისთვის შენიშვნას აძლევს. დენიკინი თერგშია. ქუჩაში ამბობენ, რომ დენიკინი საქართველოსკენ აპირებს გაქცევასო.

მცხოვრემნი უკვე ბარგ აკრულნი გასაქცევად გამზადებულან. რუსის ბურჟუაზია და ინტელიგენცია ამ ჟამად მეტად დაბელოვნებულია გაქცევაში. თუ სხვა მხრის გამოქცეულნი ხშირად სიცივ-სიმშილით ან სენით გზებში სიცოცხლეს ეთხოვებოდენ, სამაგიეროდ რუსის გამოქცეულები სიამეს და ცხოვრების განახლებას იძენენ. მათ საუცხოვოდ განსაკუთრებულ სახით აქვთ ბარგი აკრული. მიაქვთ დიდძალი სურსათი, მედიკამენტები ექიმებით და ნიკოლოზის ფულები ოსტატურად შენახული სხვადასხვა ჭურჭლებში. როდესაც გაზეთებში დაისტამბა ცნობა, რომ ინგლისელები ბათომში ისეთ პირს არ უშვებენ, რომელსაც 3000 მ. ნაღდად არ ექნებაო, გამოქცეულებს ეს სასაცილოდაც არ ეყოთ.—მაგ ჯამს თუ საჩქაროდ წაგვიყვანენ, მე მის საფასურად მივსცემ ბათომამდე, ეთქვა გამოქცეულთა რწმუნებულს თ-დ ალიევს.

ამათი წყალობით გემებზე მოუმატეთ სამგზავრო ფასს, რისთვისაც ღარიბი კაცი ვერც კი მოდიოდა შავიზღვით.

ინგლისის მისიაში.

ინგლისის მისიის წინ გეგონებათ მიტინგია გამართული და ეს არის მაღლა სართულიდან მჭერმეტყველი სიტყვას დაიწყებსო... პაწია ჩამადნებით ხელში აქ არიან ყირიმის, თავრიდის და ოდესის მდიდრები... ინგლისის მისიას ემუდარებიან, რათა ისინი ბათომისაკენ გაუშვან. ინგლისის მისიამ აცნობა საყოველთაოდ, რომ ბათომისაკენ რუსს და სომეხს წასვლის ნებართვა არ მიეცემა...

ქართველები იძახიან: „ეგ არაფერს ნიშნავს, მაგენი ქრთამით ჩინებულად წავლენ, ამას წინად ერთი გემი საკუთრად იყიდეს. ჩვენც შევედით ინგლისის მისიაში, რიგს გარეშე მიგვიღეს. ჩვენ ვუხსნით ინგლისის მისიის თავმჯდომარის ამხანაგს სამხედრო ტყვეთა მდგომარეობას და ვთხოვთ ფოთამდე გემს. ინგლისელი გაჯავრებული ამბობს: „აქ ძაღლი პატრონს ვერა სცნობს, როგორ დაგეხმაროთ, როცა ჰაერში ვარ გამოკიდებული, ბ-ნ დენიკინის ოფიცრებს ჩვენ (ინგლისელებს) კისერზედ უნდათ მთელი სიმძიმის ჩამოკიდება. ჩვენ იძულებული ვართ, რამდენიმე დღეში ყველაფრის ლიკვიდაცია მოვახდინოთ და უკან წავიდეთ... სამწუხაროდ ვერაფერს დაგეხმარებით, გირჩევო სხვა გზა ეძიოთო“...

აუდიენცია ამით დასრულდა... წავედით გემების კანტორებში. ყველგან გვეუბნებიან, რომ გემებს ბათომისკენ აღარ უშვებენ. ის გემი, („გიორგი“), რომელიც უნდა წასულიყო ბათომში გაჰგზავნეს თეოდოსიაში ევაკუაციისათვის და დღეიდან სრულიად შესწყდა გემთა მიმოსვლა მოხალისეთა ჯარის ბრძანებით.

საქართველოში წამოსასვლელად ჩვენთვის, მხოლოდ საქართველოს სამხედრო გზა ღა დარჩა. 26-ს მარტს მივდივართ ქ. ეკატერინოდარში და იქიდან კავკავს უნდა გავემგზავროთ. ასევე იქცევა ნაწილი იმ ტყვეებისა, რომელიც დონის-როსტოვში პირველ ნაწილს დასცილდა და ნოვოროსიისკით აპირებდა ფოთში წასვლას.

ირ.—დი.

გერმანიის აზრი ხელშეკრულების შესახებ.

ბადენის ქ. ფრეიბურგში ეროვნულ ყრილობის თავმჯდომარე ფეირენბახმა მიტინგზე სთქვა; ჩვენ კარგათ ვგრძნობთ, თუ რა შედეგი მოყვება გერმანიის მიერ საზავო ხელშეკრულების უარყოფას. მაგრამ ჩვენ მაინც არ უნდა მოვაწეროთ ხელი ხელშეკრულებას, რომელიც ტყვებს მტრის ხელში სტოვებს და რომლის ძალით საარის ოლქი და დანციგი მტერს უნდა გადაეცეს. დიდი პასუხისმგებლობა აძევს მთავრობას და პარლამენტს, მაგრამ მათ ზურგის უკან სდგას მთელი გერმანიის ხალხი. ჩვენ მივიღებთ ისეთ ზავს, რომელსაც გვიკარნახებენ და ჩვენ არ გვინდა დამონებული ერი გავხდეთ.

დღეს მთელი გერმანია გაიძახის: „ჩვენ არა გვსურს ისეთი წინასწარი ზავი, რომელიც ჩვენ სამხედრო ტყვეებს თავისუფლებას არ მიანიჭებს“.

დეპეშები

(საქ. დეპ. სააგენტო).

30 აპრილი.

გერმანული პრესა

შლეზვიგ-გოლშტინი.

შლეზვიგ-გოლშტინიის დელეგატებმა, რომლებიც გერმანიის ეროვნულ ყრილობაზე და შემდეგ პრუსიის ყრილობაზე, ყველამ, მიუხედავად პარტიისა, ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: შლეზვიგ-გოლშტინიას დიდი გერმანიის რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილად ვთვლით. ჩვენ მივიღეთ ვილსონის 14 პუნქტი და მხარს ვუჭერთ გერმანიის ცენტრალურ მთავრობას ამ პუნქტებისათვის ბრძოლაში. ჩვენ უარვყოფთ ყოველგვარ ძალადობას, რომელიც ამახინჯებს ვილსონის პრინციპებს. თუ რესპუბლიკაში მოახდენენ ხმის მიცემას სახელმწიფოს საზღვრებში რაიმე ცვლილების მოსახდენად, მაშინ ხმის მიცემაში მონაწილეობა უნდა მიიღონ ყველა 20 წ. უფროსმა, როგორც კაცებმა ისე ქალებმა და აგრეთვე სამხედრო ტყვეებმაც.

ჩეხოსლოვაკთა ბატონობა

გერმანულ ბოჰემიაში და სუდეტის ოლქში ჩეხოსლოვაკთა ჯარმა უკანასკნელ დღეებში 29 გერმანული გაზეთი შეაჩერა.

საპროტესტო დეპეშები

ბერლინში საგარეო საქმეთა უწყებამ უკანასკნელ დღეებში გერმანიის სხვადასხვა ნაწილებიდან მიიღო ასზე მეტი დეპეშა, რომელშისაც პროტესტანტული და კათოლიკური კომუნები და სამისიონერო კავშირები მოითხოვენ. რომ საზავო ხელშეკრულებით უზრუნველყოფილ იქნეს მოძრაობის და მოქმედების თავისუფლება არა თუ გერმანიის ახალშენებში, არამედ სხვა ქვეყნებშიაც. დეპეშებში აღნიშნულია, რომ სამისიონერო მოქმედება პრინციპიალურად ნეიტრალურია და ეროვნული მოსაზრებებზე მაღლა სდგას.

ქვანახშირის ნაკლებულება

ქვანახშირის სიმცირის გამო ჰამბურგსა, ალტონსა და კუქსჰაფენში აღარ მუშაობს 30 ორთქლით მავალი სათევზაო ხომალდი.

მოძრაობა ბოლშევიკთა წინააღმდეგ

დასავლეთ ოლონეცის ოლქში ბოლშევიკების წინააღმდეგ მოძრაობა ძლიერდება და მოხალისენი ქალაქისკენ წინ მიიწევენ. ფინეთში 2,000 ფინელია შეიარაღებული და უკვე გადალახეს ფინეთის საზღვარი.

იტალია და გერმანია.

ბერლინის გაზეთების ცნობით, ბერლინში ის აზრია გავრცელებული რომ რომ იტალიის და მოკავშირეთა წარმომადგენლების შორის მომხდარი უთანხმოებას არავითარი გავლენა არ ექნება გერმანიის წარმომადგენლების მოლაპარაკებას მოკავშირეებთან ვერსალში. ჯერ არავითარი ნიშნები არაა იმისა, რომ მოკავშირეებმა საჭიროთ სცნონ გერმანელებთან მოლაპარაკების გადადება, იტალიის დელეგატების წასვლის გამო. მოელიან, რომ გერმანიის ყველა დელეგატები ვერსალში ოთხშაბათს შეიკრიბებიან და ხუთშაბათს ღამე მოკავშირენი მათ ჩააბარებენ საზავო პირობებს.

ნოსკე—მთავარ-სარდლად.

სახელმწიფო თავდაცვის მინისტრმა ნოსკემ ბავარიის და ვიურტემბერგის მთავრობათა თანხმობით იკისრა მიუნხენის სპარტაკელთა წინააღმდეგ მომქმედ ჯარების სარდლობა. მიუნხენის წითელ ჯარში ამ ჟამად 30—60 ათასი კაცი ითვლება. წითელი ჯარის ასეთი გაზრდა აიხსნება იმით, რომ სპარტაკელთა მთავრობა ეხმარება მხოლოდ იმ უმუშევართ, რომელნიც იარაღს იღებენ ხელში. ბრძოლაში კი იმყოფება მხოლოდ 12,000 კაცი. მთავრობის ჯარის ნაწილი მიუნხენის ახლო დგას. მიუნხენიდან და აუგსბურგიდან მრავალი სპარტაკელი გარბის.

გაფიცვის დასრულება

ბერლინში საყოველთაო გაფიცვის დასრულება ახლოვდება. გაზის ქარხნებმა მუშაობა განაახლეს და ტრამვაის მოძრაობა აღდგენილია. შაბათს გაფიცულები ცდილობდენ ტრამვაის შეჩერებას, ამ დროს ჯარისკაცმა ერთი კაცი მოკლა.

ოლონეცის აღება

აღმოსავლეთ კორელიის გლეხებმა ფინელ მოხალისეთა დახმარებით აპრილის 24 ოლონეცი დაიჭირეს. მათ წინააღმდეგ მოქმედი ბოლშევიკების ჯარი 5—7 ათასი კაცისგან შესდგება.

გერმანელი ტყვეები

„დეიტშე ტაგერ-ცეიტუნგი“ იხილავს ზავის საკითხებს და კვლავ მოითხოვს, რომ გერმანიის სამხედრო ტყვეები გაანთავისუფლონ, და იხსენიებს საფრანგეთის დაპირებას, რომ სამხედრო ტყვეთა საკითხი უნდა მოწესრიგებიათ წინასწარ ზავის ხელშეკრულების შემუშავების დროს. ვილსონის 14 პუნქტის მნიშვნელობას და აზრს სავსებით შეესაბამება ის გარემოება, რომ გერმანიის ხალხი და მთავრობა ტყვეების განთავისუფლებას მოითხოვენ. გერმანიის ხალხს და მთავრობას არ შეუძლიათ დაუშვონ, რომ 100,000 მათი თანამემამულე უიმედობამ მოიცვას და ამის გამო ისინი ბოლშევიკების ხელში გადავიდენ.

ინგლისური პრესა

უთანხმოება საზავო კონფერენციაზე.

ლიონიდან იუწყებიან, რომ იტალიის ინციდენტმა ძალიან შეაფერხა საზავო კონფერენციის მუშაობა. ამ ჟამად დელეგატები დაბეჯითებით არ კვევენ საქმეს. ამერიკის წარმომადგენელნი იმ აზრის არიან, რომ „მეხმა ჰაერი გასწმინდა“. სხვები ნაკლების ოპტიმიზმით უყურებენ ამას და გრძნობენ, რომ მუშაობაში შეტანილი იქმნა განხეთქილების ელემენტი, რაც იმაში გამოიხატა, რომ მუშაობა შეფერხდა სწორედ გერმანიის დელეგატების მოლოდინში. შექმნილ მდგომარეობას საფრანგეთი ფრიად სერიოზულად სთვლის და ზოგს კი უიმედოდ მიაჩნია იგი, მაგრამ ასეთ უკიდურეს აზრს მხოლოდ მცირე ჯგუფი იზიარებს.

ფიუმეს საკითხი.

ინგლისის და საფრანგეთის პრემიერებმა ორლანდოს, რომში წასვლის წინ, ფიუმეს შესახებ გადასცეს წერილობითი განცხადება, რომელშიაც მათი აზრი იყო გამოთქმული ამ საკითხზე.

გერმანელი დელეგატები.

იუწყებიან, რომ გერმანიის დელეგატები ხუთშაბათზე ადრე არ ჩამოვლენ, მაგრამ, როგორც კი ჩამოვლენ კონფერენციის სხდომა დაუყონებლივ გაიხსნება.

გერმანელები აპირებენ საზავო ხელშეკრულება ვეიმარში გაგზავნონ ეროვნულ ყრილობისთვის წარსადგენათ, შემდეგ მიიღებენ რეფერენდუმს და ამგვარათ თავიდან აიცილებენ ხელშეკრულების მოწერის პასუხისმგებლობას და პასუხის მგებელი თვით ხალხი იქნება. საკითხი ახლა იმაშია, მოკავშირენი დასთანხმდებიან თუ არა რომ საქმე ასე გაჭიანურდეს.

ნუ თუ თქვენ არ გქონდათ საშუალება ფიუმეს საკითხზე ადრე გამოსულიყავით? განა თქვენ ვერ ხედავთ, რომ არმია სდგება კვლავ, მიუხედავათ თქვენი დაპირებისა? განა კვლავ არ სდგება და არ იზრდება სურვილი დაპყრობისა? რათ არ მიმართეთ ხალხთა სინდისს, რომელმაც თქვენ ასეთი რწმუნებულებით ალგჭურვათ? რათ დაუშვით დაბრუნებულიყო ფარული დიპლომატია. ნუ თუ თქვენ არ კითხულობდით რასაც, ყველა გაზეთები ლაპარაკობდა მოკავშირეთა არმიის გენერალისიმუსთან საუბრის შესახებ? გაიგეთ თუ არა თქვენ ყველა მისი მნიშვნელობა? ნუ თუ თქვენთვის ის უფრო ძნელი გასაგონი არაა, რომ საფრანგეთი დაჟინებით მოითხოვს საზღვარს რეინის გასწრივ და უფრო ადვილი გასაგონია ის, რომ იტალია მოითხოვს იტალიურ ქალაქს? რაკი თქვენ ისევ ალაპარაკდით და რაკი ხალხს მთავრობის დაუკითხავათ მიმართეთ მაშ განაგრძეთ ისევ, ილაპარაკეთ ისევ, მოგვიყევით თუ რა გაშინებთ თქვენ, რას ეწინააღმდეგებით რა გსურთ და ნუ იზამთ იმას, რომ ჩვენ სასიკვდილო დუმილში ჩავცვივდეთ.

ცნობილია, რომ ასეთ წინადადებაზე უკვე ითათბირეს, მაგრამ არა სამხედრო თვალსაზრისით. ფოში დიდი ხანია ლაპარაკობდა სამხედრო გეგმის შედგენის შესახებ. სანამ სამთა საბჭო საკითს ეკონომიურ და პოლიტიკურის მხრით იხილავს. ამ გვარათ, არსებობს სამი მიზეზი, რომელიც ხელს შეუშლის ვილსონს 20 მაისს წასვლისთვის 1) შეუძლიათ თუ არა მოკავშირეებს შეკრან ზავი უიტალიოთ? 2) შეუძლიათ თუ არა მოკავშირეებს შეკრან ზავი უიაპონიოთ? 3) შეუძლიან თუ არა ზავი შეკრან უგერმანიოთ?

ბოლშევიკური ცნობები

მოსკოვი. აპრილის 29. ც. ა. კ. ბ. ბ. ბიულეტენი. ციმბირიდან ჩამოსულ ამხანაგის სიტყვით ჩრდილოეთ ამურის ოლქში იაპონიის კომენდანტი ნაიკო თავისთავს თვითმპყრობელათ გრძნობს. ამურის ოკუპაციის დაწყებიდან იქ იყო ჩუმათ მღელვარება, რომელიც მარტში აშკარა აჯანყებათ გადაიქცა. ამურის ჩრდილოეთ ოლქში შესდგა აჯანყებულთა რაზმები, რომელიც მიიწევდენ სამხრეთისაკენ და აღადგენდენ საბჭოთა მთავრობას. ამურის სადგურთან აჯანყებულებმა გაანადგურეს იაპონიის რაზმი და ხელთ იგდეს ზარბაზნები და ტყვიისმფრქვეველები. იაპონიის სარდლობამ გაგზავნა აჯანყებულების წინააღმდეგ რაზმი. შემდეგ იაპონელებმა მოაგროვეს ქვეითა ჯარი და დაიწყეს ნამდვილი შეტევა აჯანყებულების წინააღმდეგ. რამდენიმე შეჯახების შემდეგ აჯანყებულებმა შესძლეს ჩრდილოეთისკენ გასვლა დაჭრილ აჯანყებულებს შეუბრალებლათ ხვრეტდენ ოლქის მცხოვრებთ იქ, სადაც მოქმედებენ აჯანყებულებს დაადვეს კონტრიბუცია. იმავე დროს ბლაგოვეშჩენსკში და ხაბაროვსკში შეტაკება იყო, ამ ჟამათ მთელ ამურზე იაპონიის და ამერიკელების ჯარი სდგას რომელიც ვლადივასტოვკიდან მანჯურიამდე რკინისგზას იცავს. თებერვლის დასაწყისში იაპონელებმა ჯარის კორეთაში გაყვანა დაიწყეს, რადგან მთელი განზანის რაიონში აჯანყებაა. ვლადივასტოვკში ფიქრობენ, რომ კორეის ჩრდილოეთ პროვინციებში მღელვარების მიზეზი კომუნისტებთან ახლო მდგომ პირების აგიტაციაა. იმისდამიუხედავათ, რომ შარშან მოსავალი ჩვეულებრივზე კარგი იყო, სურსათი ზედმეტ მაინც არ სჩანს, რადგან ყოველივეს ყიდულობენ და გააქვთ იაპონიის და ამერიკის აგენტებს. ყველა წარმოება და მაღაროები თანდათან იაპონელების და ამერიკელების ხელში გადადის. ეხლანდელ თეთრგვარდიელების მთავრობა აღმოსავლეთში მოკავშირეები ანგარიშს არ უწევენ.

მოსკოვი, 29 აპრ. სამხედრო ცნობა. დასავლეთის ფრონტი. ვოლმარის რაიონი. ვალკის მიმართულებით წითელმა ჯარმა უკან დაიხია. ბრძოლა გრძელდება. ჩრდილოეთ დასავლეთით ბრძოლით დავიჭირეთ რამდენიმე სოფელი. ლიტვის რაიონი. ტუკუმის მიმართულებით ჩვენმა რაზმა საბარგო სადგური დასწვა. სამხრეთის ფრ. იუზოვკის რაიონი. ჩრდილოეთით ჩვენ სადგური იუზოვკა დავიჭირეთ. ჩვენი შეტევა გრძელდება. ბახმუტის რაიონი. ჩვენმა ჯარმა დასტოვა ენაკიევი და რამდენიმე სოფელი. თუგანის რაიონი. ბრძოლის შემდეგ მოწინააღმდეგემ დაიჭირა სოფელი ცერკოვნოე ოა პერვოზვანკა. ჩრდილოეთით ლუგანსკთან მოტანილი იერიშები მოვიგერიეთ. ტიხორეცკის მიმართულება: ჩვენმა ჯარმა დაიჭირა ეკატერინოვკა და ბაზაევკა.

საშინელი საფრთხე

ალბად თუ ვინმე ჰფიქრობს იმაზე, თუ რანაირი იშვიათად საშინელი საფრთხე მოელის საზოგადოებას და სახელმწიფოს იმ ჯარისაგან რომელიც, „მოუწყობელთაგან“ შესდგება.

„მოუწყობელ“-ს უწოდებ იმ ხალხს, რომელიც სულ სხვა და სხვა გარემოების და მიზეზის გამო ცხოვრებას და შრომას ვერ მოეწყვნენ. ყოველ საზოგადოებაში ასეთი ხალხი იყო, მაგრამ ამოდენი რიცხვი, როგორიც ეხლა, არას დროს არ ყოფილა. უმუშევართა ჯარი დღითი დღე იზრდება. მიუხედავად მათი წარმოშობვისა მათ ერთი რამ მაინც აერთებს; ეს არის დღევანდელ საზოგადოების და სახელმწიფოს სიძულვილი.

ხალხის ყოველგვარ მოძრაობის და მღელვარების დროს, როგორი მიზნებიც არ უნდა ჰქონდეს ამას, ეს ხალხი პირველ დაბადებისთანავე [illegible]. მეთაურნი ამზადებენ [illegible] მიმდევრებს. ყველაფერზე უფრო მათ სოციალიზმი მოსწონთ, მაშინ ისინი პირდაპირ თავგამოდებული დამცველები არიან. მათი სიმრავლე და თითქმის საზოგადოების ყველა ნაწილში ყოფნა მათ უფრო საშიშოდა ჰქმნის, ვიდრე რომის იმპერიისათვის ბარბაროსების საშიშროებას. გარეშე მტრის მოგერიება გაცილებით უფრო ადვილია ვიდრე შინაურისა.

დღევანდელი ბარბაროსები კი ჩვენს საზღვრებში არიან. საფრანგეთის კომუნის დროს ასეთ ვაჟ-ბატონებმა პარიზი თუ ვერ დასწვეს, ეს მხოლოდ იმისთვის რომ ამის საშუალება არა ჰქონდათ.

რა მიზეზები აჩენს ამდენ უმუშევრებს ცოტად თუ ბევრად თითქმის ყველამ იცის. საჭიროა მხოლოდ აღინიშნოს რომ მათ შორის არიან ე. წ. დეგენერატებთან, თუ მოკლედ ავხსნით, გადაშენების გზაზე დამდგარი. სწორედ ამგვარ ვაჟბატონებს სოციალიზმი ხელსაყრელი მოვლენაა. ეს უბინაო მასსა დიდ საფრთხეს უმზადებს კაცობრიობას.

საზოგადოებისა და სახელმწიფოს სიძულვილით გაერთიანებულებს მხოლოდ ბრძოლა სწყურიათ. ეს ჯარი მზად არი ყოველგვარ ამბოხებისათვის ყოველგვარ პოლიტიკურ გადაბრუნებისთვის. რადგან ის დაკარგვით არაფერს დაჰკარგავს, მოგებით კი ბევრს მოიგებს.

ამისათვის არის რომ მას ნგრევა და ძარცვა-გლეჯა უფრო მოსწონს.

მაშ რა ვქნათ, როგორ გადაურჩეთ ამ უბედურებას... დღემდე მიღებული იყო მხოლოდ ორი საშუალება: სახელმწიფოს მიერ მზრუნველობა და კერძო ქველმოქმედება; მაგრამ გამოცდილებამ დაგვარწმუნა, რომ არც ერთი და არც მეორე საქმეს ვერ უშველის.

წარმოვიდგინოთ რომ სახელმწიფო და კერძო პირნი იმდენად მდიდარნი არიან რომ ეს ხალხი დააკმაყოფილეს დაკმაყოფილება მხოლოდ მათ რიცხვს თუ გაზრდიდა და ამ რიგად უფრო ცუდ მდგომარეობაში ჩააყენებდა.

ნამდვილ „მოუწყობელებს“ და უმუშევრებს მიემატებოდნენ კიდევ ისინიც ვინც ცოტა უნარიანია და ვისაც უქმად ჯდომა შრომას ურჩევნია. დღემდე საზოგადოებისა და კერძოთ ქველმოქმედებამ მხოლოდ გაჰზარდა ამ „მოუწყობელთა“ ბრბო. როგორც კი სადმე დაიწყება ეს ქველმოქმედება იქ ჩნდება სილატაკე და სიზანტეც.

მდიდართა კლასებს არ შეუძლიან ყველა გამოჰკვებოს და ამის მოთხოვნის უფლებაც არავის არა აქვს.

რუსეთის ბოლშევიკები ათასგვარ ექსპერიმენტებს აწყობენ, მაგრამ მაინც არა გამოდის რა. მცონართა მოთხოვნილება იზრდება იმ ზომამდე რომ არავის აღარ ჰყოფნის ძალა მათ დასაკმაყოფილებლად; ამის შემდეგ ამ გზით ყოველგვარი საცადელი კაცობრიობას საშინელ სილატაკემდე თუ მიიყვანს. დღეს კიდეც ვართ ამ გზაზე დამდგარი.

ქველმოქმედების გარდა სახელმწიფომ უმუშევრებს ბინა და სამუშაო უნდა უშოვოს. არ ვიტყვი ეს შესაძლებელია თუ არა მე მხოლო მოვიყვან დღევანდელი მდგომარეობაზედ გამოჭრილ ასლს ისტორიის მაგალითებიდან: 1791 წელს, საფრანგეთის ეროვნულ კრების და კონვენტის დადგენილებით დაარსდა საზოგადოება, რომელსაც უმუშევართათვის ადგილი უნდა ეშოვნა, დაარსდა ეროვნული სახელოსნოები და სხვა, ასე რომ ამავე წელს ადგილი მოუპოვეს 31.000 მუშას, რომელსაც დღეში 40 სუს აძლევდნენ.

სახელოსნოში ეს მუშები 10 ს. მიდიოდნენ და 3-ზე ბრუნდებოდნენ. დანარჩენ დროს ლოთობასა და ყომარბაზობაში ატარებდნენ. როცა მეთვალყურეებს ამგვარი საქციელისთვის პასუხი მოსთხოვეს, მეთვალყურეებმა უპასუხეს: „ჩვენ ჯერ სიკვდილი არა გვწადიან და ისე კიდევ მუშები არას აკეთებენო“.

მსოფლიოს სწავლულნი თავს იმტვრევდნენ ამ საკითხის გადაჭრაზე და ჯერაც ვერ გადაუწყვეტიათ.

ამერიკელებმა შემდეგი საშუალება იხმარეს: აუკრძალეს ჩინელებს ამერიკაში შესვლა და ინდოელები კი განსაზღვრულ ადგილებზე დაასახლეს, გარს შეიარაღებული დარაჯები დაუყენეს და იმ საზღვარს გადაცილებულ წითელ-კანიანის მოკვლა უბრძანეს.

აი რისთვისაა სოციალიზმი მიმზიდველი, მაგრამ ძალიან საშიშიც. მისკენ მიესწრაფიან ყველა ზარმაცები უწილოდ დარჩენილნი, დეგენერატნი და საერთოდ ყველა „მოუწყობელი“. სოციალიზმში ისინი იმედის ჩაუქრობელ სხივსა ჰხედავენ. მაგრამ რა წამს ისინი დაინახავენ ბუნების კანონთა წინაშე სოციალიზმის ულონობას, მაშინ ისინი პირველი შეაქცევენ ზურგს, და მისი მტრები გახდებიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოციალისტი კალაიანნი სწერს: „უმუშევართა ჯარი კაპიტალისტურ ორგანიზაციამ შექმნა თავის მოგებისათვის, ამისათვის მანვე უნდა არჩინოსო. თუ უმუშევართა რიცხვი იზრდება სჩანს კაპიტალისტურ ორგანიზაციის სოციალ-წყობილებას დიდი ნაკლი აქვს და ამისათვის ის უნდა შეიცვალოს“-ო.

დღეს ჩვენ სოციალურ გარდაქმნის წინა ვდგევართ. სრული უფლება სოციალისტურ მთავრობის ხელშია.

ვუსურვებდი ჩვენს მთავრობას მოახდინოს ეს „საზოგადოების გარდაქმნა“, მოსპოს უმუშევართა რიცხვი და დაამყაროს მიწიერი სამოთხე.

ჩემი აზრით ეს საქმე მეტად ძნელი და სახიფათოა...

ა. ბა—ლი.

უცხოეთის ამბები

ჟურნალ-გაზეთებიდან

გერმანიის ზრახვანი

„Deutch-zeit“-ში საინტერესო წერილია დაბეჭდილი: „ვერავის ვერ მოატყუებს შეთანხმების სახელმწიფოთა ის თავგამოდებული საცადი, რომ ჩვენი ძალა უფრო ნაკლებ მოაჩვენონ ქვეყანას, ვიდრე ნამდვილად ჩვენა გვაქვს. დღეს გერმანია უფრო ძლიერია, ვიდრე როდისმე იყო. ძვირფასი სისხლი მუქთად არ არის დაღვრილი. ჯერ საბოლოვოდ მოვსპეთ რუსეთის ცარიზმი და მილიტარიზმი, მერე რუსეთ-საფრანგეთის კავშირი. საფრანგეთის ჯარშიაც ომზე ისეთივე სულიერი განწყობილებაა გამეფებული, როგორიც ჩვენ ჯარშია.

ეხლა ჩვენი მიზანია იმ ხაოსიდან გამოსვლა, რომელსაც საერთაშორისო მდგომარეობა ჰქმნის.

მხოლოდ შეურყევლობა, ამაყობა და გულახდილობა, რომელიც ჩვენ ძალას გამოაჩენს შესძლებს ალაგმოს ის ტლანქი ეგოიზმი და ჩაუნერგოს მას მომავალი რევანშის შიში.

წითელ ფლოტის უფროსის დაპატიმრება

მარტის 24-ს ღამე ნიკოლაევის ალმასრულ. კომიტეტის განკარგულებით სასტ. „პეტროგრადში“ დააპატიმრეს შავი ზღვის წითელ ფლოტის უფროსი ზალატუხინი.

პოლონელ-უკრაინელთა კავშირი.

როგორც „კავკასკოე სლოვო“ იტყობინება, ოდესიდან ეხლა-ხანს ჩამოსული პეტლიურას ჯარის ოფიცერს განუცხადებია, რომ პოლონელთა და უკრაინელთა ომი, რომელიც ქ. ლვოვის გარშემო სწარმოებდა მოკავშირეებმა შეაჩერეს იმ აზრით, რომ ლვოვის საკითხს საზავო კონფერენცია გადასწყვეტსო. ამის შემდეგ ეს ორი ლაშქარი შეერთდა და პოლონურ-უკრაინული კავშირი შესდგა, რომელსაც მიზნად აქვს დასახული ბოლშევიკებთან ბრძოლა. როგორც ეს ოფიცერი აცხადებს, ამ ბოლო ხანს შეერთებულ ჯარს კიევიდან 30 ვერსზე მოშორებით სდგ. ბუჩა აუღიათ.

მანუფაქტურა მოხალისეთათვის.

მოხალისეთა ჯართან არსებულ ეკონომიურ საბჭომ მოისმინა რიაბუშენსკის, მოროზოვის და სხვა ვაჭრების წინადადება სალონიკიდან დიდ-ძალ მანუფაქტურის შემოზიდვის შესახებ და დაადგინა რომ ეს წინადადება მიიღოს. სალონიკში დიდძალი საქონელი არის დაგროვილი, გადმოტანილი ჩითი ეღირება 60 კ. და მაუდი კი 3 მანეთი.

ბულგარეთის ოკუპაცია.

ბულგარეთის ყველა მთავარ ქალაქში დანიშნულია მოკავშირეთა კომენდანტი.

რუშჩუკში, ვარნში და სოფიაში დიდძალი მეცხოვნე ჯარი სდგას, სხვა ადგილებში მეცხოვნენი ნაკლებად არიან 300 ან 400 კაცი თითო ქალაქში.

ბურგასში იტალიის ჯარი სდგას, რომელიც ყველა საწყობებს და საბაჟოს იცავს... ვარნაში ფრანგებმა ყველა გემები ჩაიბარეს და ზედ თავისი მეზღვაურები გაანაწესეს. ამ გემებით რუსეთში მასალა და ტანსაცმელი გადააქვთ.

მრეწველობა პეტროგრადში.

ოფიციალურად იუწყებიან რომ პეტროგრადში სათბობ მასალის ნაკლებობის გამო 35-მა ქარხანამ წარმოება შეაჩერა.

გარდა ამისა ბევრს ამათ გარდა ელექტრონის ენერგია წაართვეს.

როგორც იქაური გაზ. „ვსეგდა ვპერიოდი“ იუწყება სამრეწველო ცხოვრება პეტროგრადში საბოლოოდ ჩაკვდა.

ვილჰელმ მე-2-ს დამცველნი.

გერმანულ პრესაში თავი იჩინა ვილჰელმის დაცვის ცდამ. ძალიან ბევრსა სწერს ამაზე სოციალისტური მთავრობის ოფიციალური ორგანო, რომელიც პროტესტს აცხადებს ვილჰელმის სასამართლოზე გადაცემის წინააღმდეგ.

კავკავიდან თბილისამდე

საავტომობილო კანტორაში თბილისადან მოსულმა ინგლისელმა გვითხრა: „როცა ლიახოვმა კავკავის გუშინდელი თავგადასავალი და დღევანდელი მდგომარეობა გვაუწყა მაშინ ქალაქის დანგრევის მხრით გამახსენდა რეიმსი, სიძვირის—სოფია, ავადმყოფობის—სტამბოლი და წესრიგით ოსმალეთის რომელიმე პროვინციალური ქალაქი, სამხედრო დიქტატურითო.

ხელიდან ხელში გადასვლის დროს ქალაქში ბევრი შენობაა დამწვარ-დანგრეული. სახადით და სხვა სენით დღიურად 100 კაციდან 70 ჰკვდება. გირვანქა პური ღირს 6 მან. შაქარი 130 მან. და ღვინო 60—80 მანეთამდე ბოთლი. მართველობა პლასტუნებისაა ოდნავ რაიმეში თუ შეგნიშნეს ლარსის მინდორზე სახჩობელა მზად არის. დამნაშავეს აღჩობენ და გვამს თოკზე ჩამოკიდებულს სტოვებენ ხალხის დასანახავად. ყაზახები გუნდ-გუნდათ გადიიან სხვა და სხვა სოფლებში და მძარცველობენ.

მმართველობა გარეგნული დესპოტიურია, დავთარი ყოველ დარგში არეული აქვთ. მაგალითად როცა კავკავიდან გადის სხვა და სხვა ეროვნების ხალხი (მათ შორის რუსებიც) საქართველოსკენ - არარატ - აზერბეიჯანისკენ. ამ მიმავალ ხალხს მოხალისეთა ჯარის დიქტატორები კი არ აძლევენ ნებართვას, არამედ საქართველოს საკონსულო. ყოველ დილით 10 საათზე ქუჩაში ეშელონებად გამოდიან ყაზახებისგან ნაცემი დასახიჩრებული და დამშეულ დაავადებული რუსები, რომელთაც ბოლშევიკობა შესწამეს, მაგრამ ვერ დაუმტკიცეს და ცემა ტყეპა ხელ ფეხის თუ სხვა ადგილის ხმალ ხანჯლით გასერვა აკმარეს. ქართველებზე კბილებს ილესენ. კავკავში ქართველები არიან სხვა და სხვა მოვაჭრეთა და მეფურგუნეთა სახით, აგრეთვე მოხევეები ჩამოდიან სიმინდის საყიდლად, რომელთაც ლიახოვის ბრძანებით ერთ მარცვალს არ ატნევენ საქართველოსკენ, ხოლო უკან გამობრუნებულს ყაზახები სძარცვავენ. სხვა ქართველები ადრევე გამოქცეულან კავკავიდან. ქართველ მიკიტნებს ყაზახის ოფიცრები ღვინის სმის დროს ეუბნებიან ჩვენ მალე თბილისში მივალთო. შეღამებამდე თუ არა ყაზახები იცვლიან ტანთსაცმელს და იწყებენ ქუჩებში ჯიბგირობას, ქალების გატაცებას და ღვინის სარდაფის აკლებას.

აპრილის 5 ს ჩვენ 30 კაცამდე სამხედრო ტყვე საქართველოსკენ გამოვემგზავრეთ. ჩვენი ტყვეები გერმანეთ ავსტრიიდან საბჭოთა უკრაინიდან არ დაუკავებიათ, სამაგიეროდ გაფაციცებით ეძებდენ ქართველ სამხედრო ტყვეებს დენიკინის მიერ წაყვანილს, რის გამოც ბევრს დასჭირდა პასპორტის გამოცვლა, კავკავში საქართველოს კონსულის თანამდებობის აღმასრულებელმა ბ-ნმა გ. ნათაძემ სთქვა: ყაზახებიდან ღმერთმა ყველა მხარე დაიფაროს, თავის რეჟიმით სპარსეთის საჭურისთებს ჰგვანან, ბოლშევიკებიც კი მაგათთან ბატონები იყვნენ და დღეს ხალხი სიხარულით უცდის ან ქართველების მოსვლას და ქართველებმა წინ არ წამოიწიეს, მაშინ ისევ იმ ბოლშევიკებს ამჯობინებენ. მაგათი ყაზ. ხები თითონ ჰგრძნობენ, რომ საქმე ცუდათ აქვთ და ამიტომ გაახშირეს ყაჩაღობა, რათა ნადავლი ბევრი წაიღონ, ხოლო საინტერესოა აქედან საით აპირებენ გაქცევას, ქალაქში ხმა გავრცელდა რომ დენიკინმა საქართველოს სამხედრო გზა ინახულა, ქართველებს ფულიც მისცა, რათა განსაცდელის დროს უკან დასახევი გზა ჰქონდესთ, დღეს გაზ. „თერგის ყაზახი“ აღშფოთებულ, უარჰყოფს ამ პროვაკაციას სამხედრო ტყვეებს და გამოქცეულთ ერთი ფურგუნი ექირავათ, ბარგის წამოსაღებად, მეფურგუნე საქართველოს ქვეშევრდომი სომეხი იყო, გზაში მომავალთ ჩვენ ყოველ ფეხის ნაბიჯზე ყაზახები გვაჩერებდენ, ბარგს სჩხრეკდენ და ხელ წასავლებ ნივთს იტაცებდენ (პურს, ქუდს, თუთუნს და ქამარს), ყაზახების საზღვარია ლარსი, ამ საზღვრამდე როგორც დავითვალეთ 58-ჯერ გაგვისინჯეს ბარგი. ლარსამდის ჩვენს მეფურგუნეს აუხირდნენ ყაზახები და მოსთხოვეს ერთ საუკეთესო ცხენის გაცვლა, მეფურგუნემ უარი უთხრა. შემდგომ ამისა მოუახლოვდით თუ არა დარიალს მთიდან ჩამოცოცდა ორი ყაზახი, გააჩერა . ფურგუნი, გამოხსნა საუკეთესო ცხენი ერთ მგზავრს წაართვა ქუდი წაღებით და ორივენი მთებისკენ შეჰყვნენ. უახლოვდებით დარიალს, ჩვენი სადარაჯოები გამოჩნდა, გახარებული ვართ, ძლივს სამშვიდობოდ მივაღწიეთ, ერთი ტყვე ჰკოცნის იმ ადგილს, სადაც საზღვარი იწყება და ამბობს: „შვიდი წლის შემდეგ ჩემი სამშობლო ვნახე თვითმყოფ სახელმწიფოდ გადაქცეული, რაც ვიტანჯე სულ მავიწყდება, ისევ იარაღს ავიღებ და სამშობლოს ჯარში შევალო“.

დარაჯები ფხიზლად არიან, ხიდი კარგ შთაბეჭდილებას ახდენს, დარიალის ბუნებრივი სიმაგრე ყოველ სამშობლოსკენ მომავალ ქართველს არწმუნებს, რომ მტერს არ გამოუშვებს... ერთი მოხევე ღიმილით ამბობს: „მტერი მოვიდეს 1000 კაცს 40 კაცი დაამარცხებს, მტერი თავის დღეში ვერ გაიგებს ჩვენ საიდან დაუწყებთ სროლას, საიდუმლო ჩასაჯდომები აუარებელი გვაქვს, შარშან რუსის ბოლშევიკები და ოსები გვებრძოდენო, მაგრამ ჩვენ სოფლელებმა მთებიდან ყველანი ვიფრინეთ და გავსწყვიტეთ!..

ცხენის წართმევის ამბავი სადარაჯოზე ოფიცერ ლეონ მოსეშვილს უამბეთ, მან სასწრაფოდ გაჰგზავნა ოქმი ყაზახთა უფროსთან და მთებისკენ ყაზახების დასადევნებლად მზვერავები აფრინა.

აქ მოხევეებთან ერთად მესამე სასაზღვრო პოლკის ჯარიკაცნი სდგანან. ლაპარაკის დროს კარგ შთაბეჭდილებას სტოვებენ... ღამდება, ჩვენ მოხევეებთან მივდივართ. ყაზარმასთან (ქისტინაში) მოხევეებს (30 კაცამდეა), საუბარი სხვათა შორის თავის აზრს გამოსთქვამენ იმის შესახებ ამას წინად ქისტებმა რომა 60 ბოლშევიკი გადმოაცილა ჩვენ საზღვრამდე ხოლო აქედან ვისაც ფული ჰქონდა თბილისისკენ გაუშვეს და ვისაც არა ისინი კი ცემა-ტყეპით ყაზახებს გადასცესო. ეს საქციელი არ მოსწონთ მოხევეთ. ავსაჯანაშვილი ამბობს: ჩვენ ბოლშევიკები გვეჯავრება, მაგრამ ყაზახების ხელში, მაინც არ უნდა მიგვეცა ისინი, მას შემდეგ მაინც, რაც კავკავიდან გამოქცეული ბოლშევიკები იარაღის აყრით ჩვენმა მთავრობამ მიიღოო... მეორე გაჯავრებული განაგრძობს: უფულოები დაახოცვინეს, ხოლო ფულიანები გადაარჩინესო.

ირ—დი.

მკითხველთან საუბარი

XV.

დიდი ხანი არ არი, რაც ჩვენს ოცნებას ფრთები ჰქონდა შეკვეცილი. მაშინ მწარე სინამდვილე ლოდივით გვაწვა გულზე. ვერ წარმოგვედგინა, რომ ჩვენი დედა ქალაქი რომელიმე მაღალ სასწავლებლად დაარსების ღირსი შეიქმნებოდა.

ოცი წლის წინად „ნოვოე ობოზრენიე“-ში წერილი მოვათავსე ჩვენში პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის საჭიროების შესახებ და ცნობილმა პალმა ბათომის გაზეთში ოცნებით გატაცებული გიმნაზიელი მიწოდა. რადგან ამ გვარი ფიქრები მაშინ ოცნებად ითვლებოდა და შეუძლებელიც იყო. ვფიქრობდით თბილისში დაგვეარსებინა მდიდარი ბიბლიოთეკა, სადაც თავი უნდა მოგვეყარა ყოველგვარ წიგნებისათვის ქართულ და უცხო ენაზე, მისთვის რომ ამ გვარი ბიბლიოთეკას წყალობით განათლების ნაკლი შეგვევსო და თან ჩვენი მწერლებისათვის გაგვეადვილებია მუშაობა. გვინდოდა შეგვედგინა თანხა, რომ ნიჭიერი ყმაწვილებისათვის გაგვეადვილებინა მწერლობის ასპარეზზე მოღვაწეობა, რადგან ჯამაგირის დანიშვნით ლუკმა პურზე ზრუნვას მოვაშორებდით. მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ ამ გვარი შედარებით უფრო ადვილი საქმე ოცნებად გამოდიოდა, ისე გაბრუებული ვიყავით, ისე შესამჩნევად დაგვეკარგა საზოგადოებრივობის უნარი, და თვითმოქმედება. ჩვენდა საბედნიეროდ ეს უკუღმართი მდგომარეობა მოულოდნელად შეიცვალა და საკუთარს ქართულ უნივერსიტეტს ვეღირსეთ. მაგრამ ამისათვის ჩვენ გვესაჭიროებიან ნამდვილი მუშაკნი, რომელსაც შემოქმედებითი ძალა შესწევთ.

ამ შემთხვევაში მე ვგულისხმობ მხოლოდ საექიმო ფაკულტეტს, საზოგადოდ საექიმო ფაკულტეტის მოწყობა უფრო ძნელია ფინანსის მხრით და პროფესორთა შემადგენლობითაც და ეს სიძნელე ჩვენში უფრო მაშინებს.

ვშიშობ, რომ ჩვენ ძლიერ გაგვიჭირდება ღირსეულ პროფესორების შოვნა და ეს ჩვენს ახალგაზრდობასაც დაგვიშინებს. შეუძლებელია პროფესორთა კადრის შედგენა იმ პირთაგან, რომლებიც რუსეთში ასე ადვილად ხდებოდენ მედიცინის დოქტორებად ოღონდ მსურველს განმეორებითი ეგზამენები ჩაებარებინა, და ხშირად არც ეს იყო საჭირო, რადგან პირველ ეგზამენების დროსაც ზოგნი პროფესორებს ხუთებს გამოსთხოვდნენ ხოლმე. მერე შეუდგებოდენ დისერტაციის წერას და დისერტაცია ხშირად ისეთი სუსტიც კი აღმოჩნდებოდა, რომ ბევრს ეს ძლიერ ეთაკილებოდა და კომედიად სთვლიდა. დღე მიელოს მედიცინის დოქტორობა ძლიერ უნდა სამსახურის საფეხურზე მარდად აცოცებაო, და მართლაც წინდა-წინვე ჰქონდათ გადაწყვეტილი მფარველ პროფესორებს ექიმისათვის ამ ღირსების მინიჭება და ვერავითარი არა ოფიციალური პროფესორის შეუბრალებელი კრიტიკა, კატეგორიული პროტესტი რომ დისერტანტი ღირსი არ არის მედიცინის დოქტორობის სახელისა, მიზანს ვერ აღწევდა; თავმოყვარეობას მოკლებული ექიმი კი, ჩუმად კათედრაზე ვითომდა დისერტაციის დასაცავად აცოცებული, უსიტყვოდ კათედრიდან ჩამოცოცდებოდა და მედიცინის დოქტორათ ჰხდებოდა. მის მაგივრათ ჩვენ კი, სტუდენტები ვწითლდებოდით. იმ დროსაც უფრო შეგნებული პროფესორები ამგვარი წესის წინააღმდეგ ილაშქრებდენ ხოლმე, უნდოდათ მედიცინის დოქტორობა უფრო საპატიოდ გაეხადათ, უნდოდათ უმნიშვნელო ეგზამენები მოესპოთ, სამაგიეროდ დისერტაცია უნდა ყოფილიყო ნამდვილი მეცნიერული შრომა, მაგრამ მათ იმ რეაქციონულ დროს მიზანს ვერ მიაღწიეს. მედიცინის დოქტორები კი სოკოსავით ჩნდებოდნენ. ამგვარი ვითომ მეცნიერნი ჩვენებიც შეიქმნენ და მე ძლიერ მეშინია პროფესორის მძიმე მოვალეობა და ტვირთი ამათ არ იკისრონ, თუნდაც იმ ანდაზის მიხედვით უკაცრავათ კი ვარ: „უძაღლო ქვეყანაში კატას აყნავებდენო“, პროფესორისათვის მარტოთ-მარტო ცოდნა როდია საკმარისი. ჯერ ცოდნას გადაცემა უნდა, მსმენელში ხალისის და ყურადღების გამოწვევა, ამავე დროს ლექტორი მსმენელის ტვინს უნდა აფოლადებდეს, თუ შეიძლება ასე თქმა, უნდა აღვივებდეს იმ ძარღვებს და უჯრედების ურთი ერთობას, რომელნიც ესოდენ როლს თამაშობენ: აზრთა ასოციაციის წარმოშობაში, აზროვნების მეთოდის საქმეში და ეს მარტო საგნის კარგად მცოდნეს არ შეუძლია. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს სტუდენტებისათვის.

ე. ვაშაკიძე.

(დასასრული იქნება).

ქართ. ლატ. მომწყობ საბჭოსა და გამგეობისაგან.

ქართული ლატარიის მომწყობი საბჭო და გამგეობა ამით საყოველთაოდ აცხადებენ შემდეგს:

თანხმად საბჭოს დადგენილებისა წარსული წლის დეკემბრის 19 სა ლატარიის გათამაშება უნდა მომხდარიყო მიმდინარე წლის 1-ლ მაისს. გამგეობამ მაშინ გამოითხოვა სამი თვის ვადა, რათა შეძლება მისცემოდა, უფრო ხელსაყრელ პირობებში მოეხდინა ბილეთების გასაღება და გაეფართოვებინა თავისი მოქმედება პროვინციაში, უმთავრესად სოფლად.

მიუხედავათ მრავალგვარ ზომებისა საქმე ეხლაც ვერ მოეწყო ფართოდ და სასურველად რადგან ხელშემშლელი პირობები კვლავ გადაეღობა წინ გამგეობას. ამ სამი თვის განმავლობაში ჩვენი ქვეყანა ისევ გახვეული იყო ომსა და ანარქიაში. ომი სომხებთან და ჩრდილოეთით, აჯანყება და შემოსევა თათრებისა, მობილიზაცია, შემდეგ საარჩევნო კამპანია ერობისა ქალაქისა და დამფუძნებელი კრებისათვის; ყველა ამან ხელი შეუშალა ადგილობრივ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს დაპირებული სათანადო დახმარება აღმოეჩინათ გამგეობისთვის ბილეთების გავრცელების საქმეში. ამას ზედ დაერთო კიდევ მეტად ცუდი ზამთარი, რომლის გამო ვერ მოხერხდა სოფლად მუშაობა და ფართო მასაში ბილეთების გატანა.

ამასთანავე, მას შემდეგ რაც ლატარიის საქმე გადაწყდა, ჩვენმა ქვეყანამ ბევრი გასაჭირი გამოიარა და ლატარიისთვის სათანადო ყურადღება შეუძლებელი გახდა. ამ ხნის განმავლობაში მოხერხდა მხოლოდ ერთ მილიონამდე ფულის შეგროვება, ნაცვლად განძრახულის ხუთი მილიონისა. საბჭოს შეეძლო, რასაკვირველია, დაპირებულ ვადაზე გაეთამაშებინა ლატარია, შეგროვილის თანხით ის გაისტუმრებდა მოგების ჯამს, მაგრამ ქართული უნივერსიტეტისა და თეატრისათვის დარჩებოდა სრულიად უმნიშვნელო თანხა და ამრიგად დიდი მიზანი ლატარიისა შეუსრულებელი დარჩებოდა.

ყველა ეს გარემოება გაითვალისწინეს საბჭომა და გამგეობამ და შეერთებულს კრებაზედ ამა აპრილის 14-ს დადგენილი იქმნა კიდევ ერთხელ და უკანასკნელად გადაიდვას ლატარიის გათამაშება ამა წლის 2 ნოემბრამდე, რის ნებართვა ეთხოვოს მთავრობას. გადადების ნებართვა უკვე მიღებულ იქმნა სათანადო უწყებისაგან.

აცხადებს რა ამას, ლატარიის საბჭო სრულს იმედს გამოსთქვამს, რომ საზოგადოებაც გაიზიარებს მოყვანილს მოსაზრებათ და არა თუ უკმაყოფილოდ არ მიეგებება ლატარიის გადადებას, არამედ ხელს შეუწყობს საქმეს გაფართოვებას რათა დიდი მიზანი კეთილად დაგვირგვინდეს.

ლატარიის გამგეობა თავის მხრივ სრულს იმედს გამოსთქვამს, რომ ის ადგილობრივი კომიტეტები და საზოგადოებრივი დაწესებულებანი, რომელნიც მუშაობდნენ ამ საქმისთვის, კვლავაც ენერგიულად განაგრძობენ საქმეს, მით უმეტეს რომ [illegible]განი თვით მოითხოვდნენ ლატარიის გათამაშების გადადებას, რათა უკეთეს პირობებში შესძლებოდათ მუშაობა და უფრო ნაყოფიერად და სასურველად მოეხერხებინათ ისეთი დიდი მიზნის ასრულება, როგორიც არის ქართული უნივერსიტეტის და თეატრის დახმარება.

ლატარიის მომწყობი
საბჭო და გამგეობა.

წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით ნება მომცეთ ქართველ სამხედრო ტყვეთა გამოქცეულთა და სომეხ სამხედრო ტყვეთა სახელით (115 კაცი) უღრმესი მადლობა უძღვნათ თბილისის ვოლგაკამის ბანკის მმართველს ბ-ნ სტეფანე გრიგოლის ძე მაზმანოვს, იმ უზომო და სამძიმო შრომისათვის, რომელიც მან გასწია საბჭოთა უკრაინაში და ყუბანის საზღვარზე ქართველ სამხედრო ტყვეთა გამოქცეულთა და სომეხ სამხედრო ტყვეთა სამშობლოში წამოსაყვანად. უსაზღვრო მადლობა აგრეთვე იმ წვლილისთვის (5000 მან.), რომელიც მან მისცა უკიდურეს გაჭირვების განმცდ სამხედრო ტყვეებს...

პატ. ირ. დიდიძე და არშაკ ფოლადაშვილი.

მატარებლების მიმოსვლა

11 თებერვლიდან.

მატარებლები თბილისიდან ფოთში:

მ. № 1 სასწრაფო საღ. 7 საათ. 30 წ.
ხაშურიდან — ღამ. 10 ს. 52 წ.
შორაპნიდან — ღამ. 1 ს. 34 წ.
სამტრედიიდან—ღამ. 3 ს. 50 წ.
ფოთში — დილის 5 ს. 50 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 20 მ.

მ. № 3 საფოსტო დილის 10 ს. 30 წ.
ხაშურიდან — დღის 3 ს. 08 წ.
შორაპნიდან—საღამოს 6 ს.
სამტრედიიდან—საღ. 8 ს. 34 წ.
ფოთში — ღამის 10 ს. 43 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 10 მ.

მ. № 9 **სამგზავრო ქუთაისამდე.**
საღამოს 10 საათ. 30 წ.
ქუთაისში მივა დილ. 7 ს. 21 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 5 მ.

მ. № 19 **სამგზავრო ბორჯომამდე.**
დღის 3 საათზე 30 წ.
გორიდან —საღამოს 6 ს. 30 წ.
ბორჯომში მივა საღ. 9 ს. 27 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 5 მ.

მ. № 4 **საფოსტო ბაქომდე.**
ღამის 1 საათზე 10 წ.

მ. № 8 **სამგზავრო განჯამდე:**
დღის 3 საათზე 35 წ.

მ. № 6 სასწრაფო საღ.—9 ს. ბაქომდე.
პლაცკარტის ფასი ბაქომდე 1 კლ. 60 მ., 2 კლ. 40 მ., 3 კლ. 20 მ.

ყარსისკენ—ერევანში

მ. № 4 საფოსტო —დღის 1 ს. 40 წ.

თბილისში მომავალი მატარებლები.

ფოთიდან—თბილისში.

მ. № 2 სასწრაფო—დილ. 9 ს. 41 წ.
ფოთიდან გამოვა საღ. 11 ს.
მ. № 4 საფოსტო საღ. 8 ს. ფოთიდან გამოვა დილის 7 საათ. 40 წ.

მ. 12 **ქუთაისიდან:**
დილის 8 ს. 15 წ. ქუთაისიდან გამოვა საღ. 10 საათ. 33 წ.

მ. № 20 **ბორჯომიდან**
დილის 7 ს. 20 წ. ბორჯომიდან გამოვა ღამ. 12 ს. 46 წ.

ბაქოდან

მ. № 3 საფოსტო დღის 4 ს. 30 წ.
მ. № 5 სასწრაფო დილის 7 ს.
მ. № 7 სამგ. განჯიდან დილ. 8 ს. 30 წ.
მ. № 5 პლაცკარტიანია; პლაცკარტის ფასი 1 კლ. 60 მ., 2 კლ. 40 მან., 3 კლ. 20 მ.

ნახიჩევანიდან და ყარსიდან

მ. № 3 საფოსტო—დილ. 11 ს. 30 წ.

ამათ გარდა კვირა უქმე დღეებში. თბილისსა და მცხეთის შუა იქნება შემდეგი მატარებ. მიმოსვლა.

მ. № 61 **თბილისიდან**
დილის 7 ს. 37 წ.
მ. № 63 დღის 3 ს.

მცხეთიდან მოდის

მ. № 62 დილის 11 ს. 10 წ.
მ. № 64 საღამოს 7 ს. 20 წ.

კახეთის რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა. პირველ მაისიდან 1919 წლისა.

საათები ნაჩვენებია თბილისის დროით.

თბილისიდან-მულაანამდე.

საავარაკო მატარ. № 16. თბილისიდან გადის დილის 7 საათზე მულაანში მიდის 12 საათზე და 50 წუთზე.

საავარაკო მატარ. № 15 მულაანში უერთდება საფოსტო მატარ. № 3 და გამოდის იქიდან ნაშუადღევის 1 საათზე და 40 წუთზე.

თბილისიდან-თელავამდე.

საფოსტო მატარ. № 4. თბილისიდან გადის დილის 10 საათზე თელავში მიდის 7 საათზე და 35 წ.

თელავიდან-თბილისამდე.

საფოსტო მატარ. № 3. თელავიდან გამოდის დილის 9 საათზე და 30 წუთზედ მულაანში უერთდება საავარაკო მატარებელს № 15 და მოდის თბილისში საღამოს 7 საათზე და 15 წუთზე.

გურჯაანიდან-წნორის-წყლამდე.

მატარებ. № 6. გურჯაანიდან გადის საღამოს 6 საათზე წნორის-წყალში მიდის საღამოს 7 საათზე.

წნორის-წყლიდან-გურჯაანამდე.

მატარებელი № 5. წნორის-წყლიდან გამოდის დილის 9 საათზე და 50 წუთზე გურჯაანში მიდის დილის 11 საათზე.

(2—54—2)

ექიმი

ა. მ. პაატაშვილი

იღებს შინაგან და ბავშთა სნეულებიან ავადმყოფებს, ყოველ დღე, გარდა შაბათისა, საღამოს 5—7 საათამდე. გუნიბის ქუჩა № 43 (ყაზბეგის და გუნიბის ქუჩ. კუთხე, სახლი კახიძისა).

(25—2324—2)

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა

გ. გ. მიქაბერიძე

შინაგანი ავადმყოფობა, ფილტვისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში, გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენოიდი და არსევალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ღარიბებს უფასოთ. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 24—1

7—92.

სამკურნალო კაბინეტი ექიმის

ალექსანდრე დავითის ძის

მიქელაძე

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათ. 11 საათ. და საღამოს საათ. 6 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ, ტელეფონი 14—28.

მედიცინის ექიმი

ე. ა. მონსე

ნერვიული, შინაგანი და საბავშო სნეულებანი. მკურნალობა ელექტრონით, სიმსუქნის მკურნალობა ბერგონიეს აპარატით, სალხების მკურნალობა ლინდემანის აპარატით; ფსიხოტერაპია, ჰიპნოზი. მიღება 10 ნახ. ს. დღ. საღამოს 6—7 ს. ყოველდღე, კვირის და ხუთშაბათის საღამოს გარდა. მიხეილის პროსპ. № 111. ტელეფონი 13—42.

50—2119—46

სტამბა [illegible], [illegible] შესახვევი № 4.